# საერთო გაზეთი

№39 (631)
ოთხშაბათი
27 ოქტომბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.


## დღეს, 27 ოქტომბერს, 17 საათზე, ყველანი თავისუფლების მოედანზე!

# გამარჯვება მივიყვანოთ ბოლომდე!



## როცა ეგონათ, გადაივიწყა

*„ხალხი და მხოლოდ ხალხი“*

**გალაკტიონი**

როცა ეგონათ, გადაივიწყა,
რაც ტკივილი და ტანჯვა იწვნია,
მაშინ თქვა სწორედ: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

როცა ეგონათ, დაჩაჩანაკდა,
დაუძლურდა და უკვე იძლია,
მაშინ შესძახა: — მე არაფერი,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

მაღალ დროშებს რომ ასდით ალმურად,
უანკარესი მისი სისხლია.
— ნუ გეშინია, ჩემო მამულო,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

არ შეიძლება გახდეს ბეჩავი,
ვინც ისტორიის მეკვლედ გვიცვნია,
— თქვენ არაფერი არ შეგეშალოთ,
მე არაფერი არ დამვიწყნია!

**ვახტანგ ხარჩილავა**



### ირაკლი ღარიბაშვილი

არც ფოტიგა, არც კუბილიუსი, არც არავინ ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში კანონისა და მართლმსაჯულების აღსრულებას წინ ვერავინ აღუდგება. ევროპარლამენტში არის შვიდასი დეპუტატი და ჩვენ ვერც ფოტიგას ჭკუით ვივლით, ვერც კუბილიუსის, ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას.



## რედაქტორის სვეტი



„დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული, ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“

დღეს არა, 17 დღის შემდეგ, 30 ოქტომბერს, გამოჩნდება, გვიყვარს თუ არა მამული...

„ქართული ოცნება“, „ნაცმოძრაობა“, „ლელო“ და „გირჩი“ გვიყვარს კი არა, 30 ოქტომბერს გაირკვევა, გვიყვარს თუ არა საქართველო და შეგვიძლია თუ არა მისთვის მცირედი რამ, ერთი ხმა გავიღოთ?!

სიცოცხლის გაღებას არავინ გთხოვთ, შეგიძლია თუ არა შენი ერთი ხმა შეაწიო განსაცდელში ჩავარდნილ შენს სამშობლოს, ამაზეა ლაპარაკი.

თბილისს, ქუთაისს, ბათუმს, ზუგდიდს, თელავს, მტერი რომ მოსდგომოდა დასაპყრობად, დარწმუნებული ვარ, ხმალს თუ კომბალს წამოავლებდი ხელს და უყოყმანოდ ჩაებმებოდი ომში მათ დასაცავად.

30 ოქტომბერსაც ომია, მართალია, მშვიდობიანი სიტყვა არჩევნები კი ჰქვია, მაგრამ, სინამდვილეში, ომია, ხოლო ის ძალა, რომელიც საქართველოს ამ ყველაზე დიდი ხუთი ქალაქის წართმევას გვიპირებს, ნამდვილი მტერია.

ეს ის მტერია, რვა წლის განმავლობაში რომ გვაოხრებდა, გვაჩანაგებდა, ქუჩაში გვხოცავდა, ციხეებში გვყრიდა, გვაწამებდა, გვაუპატიურებდა, ჩვენს დაბეჩავებას და დამონებას ცდილობდა.

აი, ეს მტერი ცდილობს უკან, ხელისუფლებაში მობრუნებას, მაგრამ ამ მიზანს რომ მიაღწიოს, ჯერ ეს ქალაქები უნდა ჩაიგდოს ხელში.

ამ ხუთი ქალაქის გარეშე რა დარჩება საქართველოსგან?

არა „ქართულ ოცნებას“, არა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატებს, არამედ საქრათველოს უნდა დავუდგეთ გვერდით, როგორც ეს არაერთხელ გაგიკეთებიათ ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტებში.

მოუხმობლებს გეძახიან თქვენ, რადგან, სანამ ძალიან არ დასჭირდებით, მანამდე არავის ახსენდებით და არავინ გიხმობთ, არადა, თქვენ ხართ საქართველოს ოქროს რეზერვი, შინაგანად ყველაზე აქტიური ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომლებიც საჭირო დროს ერთბაშად ავლენთ ეროვნულ ენერგიას და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად ირაზმებით.

არ არის გამორიცხული, არც ახლა დაგიძახონ, არც ახლა მოგიხმონ, მაგრამ ნუ დაელოდებით ვინმეს დაძახებას — ერთმანეთს გადასძახეთ, ერთმანეთი მოიძიეთ და ასე შეკარით დიდი სახალხო ლაშქარი იმ ხუთი ქალაქის დასაბრუნებლად და გადასარჩენად, რომელთა გარეშეც საქართველოს იოლად დაამარცხებენ გათამამებული და გათავხედებული ავაზაკები, რომლებიც ახლა კოალიციაზე საუბრით ცდილობენ ქართველი ხალხის მოტყუებას, რუსთავის ციხეში კი ბელადად და წინამძღოლად სისხლსმოწყურებული, შურისძიებით და რევანშით შეპყრობილი ძოპიროსი უზით...

2021 წლის 30 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტური თავისი მნიშვნელობით, თითქმის უტოლდება 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს.

30 ოქტომბრის გამარჯვებით ან საბოლოოდ განვამტკიცებთ და გავამყარებთ 2012 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებას, ან დავასუსტებთ და საფრთხეს შევუქმნით ამ უდიდეს მონაპოვარს.

როცა რეკს ზარი, ნუ იკითხავთ, ვის უხმობს იგი...

ის გიხმობთ თქვენ, ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე.

საქართველო მოუხმობლებს მოუხმობს!!!

# არჩევნებამდე სამი დღით ადრე?

## ჩვენს რესპონდენტებს ერთი კითხვით მივმართეთ: რას ეტყვით ქართველ ხალხს არჩევნებამდე სამი დღით ადრე?



**ნანა კაკაბაძე**, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:

ქართველმა ხალხმა ერთადერთი არჩევანი უნდა გააკეთოს — საქართველოში უარი უთხრას ბოლშევიზმსა და ფაშიზმს! მნიშვნელოვანია, ქვეყნის მტერი — ბოროტება, რასაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია, დამარცხდეს. ეს არის მთავარი. სამწუხაროდ, სწორედ ამ ბოროტებამ სამოქალაქო საზოგადოება შთანთქა. მისი ერთი ნაწილი შეიერთა და პოლიტიკაში წაიყვანა, მეორე კი — თავის მონა-მორჩილად აქცია. ეს გახლავთ, დღევანდელი, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სააკაშვილის რეჟიმს ემსახურება. ღრმად მწამს: ქართველი ხალხი გონივრულ არჩევანს გააკეთებს და 30 ოქტომბერს „ნაცმოძრაობა“, საბოლოოდ, დამარცხდება. რაც მთავარია, ნაცები, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, როგორც პოლიტიკური ძალა, საერთოდ, უნდა გაქრნენ. მელიას მერად არჩევა როგორ შეიძლება? მან, ისეთი რაღაცები აკეთა, რაც კანონის ფარგლებს სცდება. თუნდაც, ავიღოთ, ე.წ. ჩრდილოვანი კაბინეტის დაფუძნება. როცა საკრებულოში უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს, როგორ უნდა იარსებოს მისმა „კაბინეტმა“? ეს, მხოლოდ, პიარკამპანიაა. თავადაც მშვენივრად იცის, რომ ამას, რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. რაც შეეხება მიშას პატიმრობას, გაჰყვირიან: პოლიტპატიმარია და უნდა გათავისუფლდესო. მე, არ ვიცი ვინ არის პოლიტ.პატიმარი სააკაშვილი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცი ვინ არის კრიმინალი სააკაშვილი, ერთ დროს, ქვეყნის პრეზიდენტი, რომელსაც უმძიმესი დანაშაულობები აქვს ჩადენილი, რაზეც პასუხი უნდა აგოს, როგორც ხალხის, ისე კანონის წინაშე.



**ბალათერ არაბული**, პოეტი:

მინდა ქართველ ხალხს ვურჩიო: ვისაც მართლა გიყვართ სამშობლო, თქვენი გონიერების მჯერა და იმედი მაქვს, ხმას ჯანსაღ, მოამვალზე ორიენტირებულ „ქართულ ოცნებას“ მისცემთ, რომელიც აღმშენებლობისთვის ყველაფერს აკეთებს. ჩვენ, 2012 წელს არ გვქონია ისეთი პრობლემები, საშიშროება, რაც დღეს გვაქვს. იმიტომ, რომ 2012 წელს ხალხი შემართული იყო იმისთვის, რომ ბოროტი ძალა მოეშორებინა. დღეს, 9 წლის შემდეგ, ჩვენ, ისევ იმ საშიშროების წინაშე ვდგავართ. მოსახლეობის ნაწილს ქრონიკული ამნეზია დაემართა, ყველაფერი დაავიწყდა, რაც ამ ჯალათებმა ქვეყანას დამართეს. ამიტომ, საჭიროა, ვისაც საქართველო უყვარს და მის მომავალზე ფიქრობს, 30 ოქტომბერს ქუდზე კაცი გამოვიდეს, რათა გადავრჩეთ. ნაცები თუ დაბრუნდნენ, ამომრჩეველს, იგივე, ტერორი ელოდება. მოსახლეობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა 2012 წლის მონაპოვარი წყალში არ ჩაიყაროს. სააკაშვილი უნდა გასამართლდეს. დანაშაული არ აპატიეს სარკოზს, ბერლუსკონეს. ბოლო ხანებში სხვადასხვა დანაშაულობებისთვის მსოფლიოში 30-მდე პრეზიდენტია გასამართლებული. კანონის წინაშე ყველა თანაბარია, აქ, შეღავათები არ არსებობს. არსად წერია, რომ პრეზიდენტი უნდა დავინდოთ და გლეჩი კანონის მთელი სიმკაცრით გავასამართლოთ. სააკაშვილს რა სასჯელიც ეკუთვნის, სრულად უნდა მოიხადოს. ამდენი მკვლელობების, ტერიტორიების დაკარგვის მერე, კიდევ, მსუბუქი სასჯელი დააკისრეს. მან, დანაშაულებრივი სისტემა შექმნა, რომელსაც თავად მართავდა. წინ, კიდევ, რამდენიმე სასამართლოა და შესაძლოა სასჯელის ვადა გაეზარდოს. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შეცდომა კოაბიტაციის დაშვებაა. ვინც დანაშაულებრივ სისტემას ქმნიდა, მათთვის, პოლიტიკაში მოღვაწეობა 10-15 წლით, საერთოდ, უნდა აეკრძალათ. საქართველოც მშვიდად იცხოვრებდა. ამ შედეგს, ახლა, ვიმკით.



**შოთა გლურჯიძე**, მხატვარი:

არჩევანი ერთადერთია — მანიაკები ხელისუფლებაში არ უნდა მობრუნდნენ. აი, ეს არჩევანი გვაქვს, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბებული რომ იყოს, ეს კითხვები, საერთოდ, არ გაჩნდებოდა. მოლოდინი მაქვს, რომ ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს და იმ უბედურებაში არ ჩავვარდებით, რაშიც ცხრა წელი ვიმყოფებოდით. 2012 წლის არჩევნები ბევრად რთული იყო, თუმცა, საზოგადოებამ ნაცებს მკაფიო უარი უთხრა. ახლა, სხვა ეტაპზე გასვლის პრობლემა გვაქვს, თორემ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს უბედურება უკან აღარ მობრუნდება. ახლა, ვითომ, კოალიციური მთავრობა შექმნეს, რაც მაქსიმალურ ვაჭრობას ემსახურება თბილი ადგილების მოსაპოვებლად. მათ უნდა გაიაზრონ, რომ ახლა, 2012 კი არა, არამედ 2021 წელია და ხალხის უდიდესი ნაწილი მიხვდა ვისთან აქვს საქმე. არ მაქვს განცდა, რომ ნაცების მეორედ მოსვლა მოხდება. თანაც, შინმოუსვლელის გათავისუფლებაც არ შეიძლება შემდეგ მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, ფსიქიკურად ისეთ მდგომარეობაშია, მას განმარტოებულად ყოფნა სჭირდება. მეორეც, ჩვენ გვაქვს კანონები, რაც მანაც უნდა დაიცვას. თუ სახელმწიფო მისი გათავისუფლებისკენ ნაბიჯს გადადგამს, ეს ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება. მიშა გაუწონასწორებელი, თავისი განდიდებით შეპყრობილი ადამიანია. დიდი ხნით თუ იქნება განმარტოებული, იქნებ, მის ფსიქიკაში, რაღაც, დადებითიც მოხდეს.



**გოგა ხაინდრავა**, კინორეჟისორი:

რა არჩევანი უნდა გააკეთოს ხალხმა? — მგონია, რომ აქ, კითხვის ნიშნები არ არსებობს, რადგან ერთ მხარეს არის პათოლოგია, ცილისწამება, ულმერთობა, ყველანაირი მანკიერება, მეორე მხარეს —მშვიდობა, განვითარება, სტაბილურობა, აღმშენებლობა. კი ბატონო, მანკიერება ყველა საზოგადოებაში არსებობს. თუმცა, განსხვავება ისაა, რომ ქვეყნებში, სადაც გონიერი საზოგადოებებია, მანკიერება წამყვანი ძალა არ არის და მას ქვეყნისა და საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხარს არ უჭერს. ეს გახლავთ საქართველოს სირცხვილი, რისი მოწმეც ვართ. აღარაფერს ვლაპარაკობ, ამ გოდოზე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის თავის მოჭრაა. ჩემთვის, ყველაზე გამაოგნებელი იყო ის შედეგი, რაც პირველი ტურის მერე ვიხილეთ, განსაკუთრებით, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში. ყველაფერს საზღვარი აქვს, მათ შორის, ბოლმასაც. თუ ჩვენ იმაზე უკეთესი მომავალი გვინდა, ვიდრე ჩვენი აწმყოა, მაშინ ქართული საზოგადოების ერთადერთი არჩევანი „ქართული ოცნება“ გახლავთ. მესმის, რომ ეს არ არის ქვეყნისთვის ყველაზე საუკეთესო მდგომარეობა, როცა

საზოგადოებას არჩევანი არ აქვს. ვისურვებდი: მალე დადგეს დრო, როდესაც ქართველ ამომრჩეველს არჩევანი ექნება და მხოლოდ ერთ პარტიაზე კონცენტრირებული არ იქნება. რაც სააკაშვილის გარშემო ხდება, არც ვიცი, რას შევადარო ეს მიშას გუნდრუკის მკმეველი ტელე-საროსკიპოები. წარმოიდგინეთ, ადამიანი თავის ქვეყანაში გაყინულ პროდუქტებთან ერთად რომ ბრუნდება! არანაირი კავშირი მას ამ ქვეყანასთან გარდა ბიოლოგიური დაბადებისა, არ აქვს. ეგ ისეთივე პოლიტპატიმარია როგორც მოშიმშილე. სამარცხვინო კაცია და მეტი არაფერი. ეს გახლავთ აბსურდის თეატრი, რომელიც ტრაგი-კომედიის ჟანრში გადავიდა. მადლობა ღმერთს, ჩემი აზრით, ეს, ამ პოლიტიკური აბსურდის ბოლო აქტია. გვარამია გვეუბნება: მე-18 დაწესებულებაში მისი გადაყვანა უსაფრთხო არ იქნებაო. მიშაზე საშიში დამნაშავე, მე, საქართველოში არავინ მეგულება. სხვა საკითხია ის, რომ იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი, იქ, მყოფი პატიმრების ეშინია. მის დროს საპატიმროები გადატენილი იყო — ექვს-კაციან საკანში 50-60 პატიმარს ტენიდნენ, რაც მშვენივრად არის ნაჩვენები ჩემს 24-სერიან ფილმში „ჰეროკრატია“, რომელიც სრულ რეალობას ასახავს. იმიტომაც ემართებათ ბნედა ყოველი სერიის, კადრის ხილვისას. ფილმში ერთი-ერთშია ასახული ის მდგომარეობა, რაშიც ქართულ საზოგადოებას ეს ბოროტი გაერთიანება, სექტა ამყოფებდა. რუსთავის ციხეში ეს ცირკი უნდა დამთავრდეს, ბოროტმოქმედი სააკაშვილი ყველა დანარჩენ პატიმარს გაუტოლდეს და იმ შესაძლებლობებით ისარგებლოს, რითაც ყველა დანარჩენი პატიმარი. არავითარი პრივილეგიები! ეს ბალმასკარადი, რაც ყოველდღიურად იმართება, უნდა დამთავრდეს. ამით, სააკაშვილი შეურაცხყოფას აყენებს როგორც საზოგადოებას, ისე პენიტენციალურ სისტემას. ყველაფერს საზღვარი აქვს.



**ზაზა შათირიშვილი**, ფილოსოფოსი:

წლების მანძილზე არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის გვიხდება. როგორც ჩანს, ეს, ქართველების ბედისწერაა. ისტორიულადაც ხომ ასეა — არჩევანის გაკეთება, მუდმივად, ცუდსა და უარესს შორის გვიწევს. დღეს, ცოტა სხვა სიტუაციაა. კერძოდ, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, არჩევანი ნათელია — არა ნაცებს! ეს არის უზუსტესი განმარტება იმისა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ქართველი ამომრჩეველი. დიახ, არა ნაცებს მოყოლებული 2008 წლიდან, როდესაც ხალხს რეალურად საშუალება მიეცა დაენახა რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“. 2003-2004 წლებში, ეს, თვალნათელი არ იყო და ამის გამო ამომრჩეველს ვერც დაამუნათებ. მე, ასე ვიტყოდი: არა ნაცებს, აქტიურად, არა ნაცებს. მათში, მთელი სპექტრი იგულისხმება. ანუ, არამხოლოდ „ნაცმოძრაობა“ არამედ ე.წ. სატელიტი პარტიები. არსებობს რამდენიმე პარტია, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ქოლგის ქვეშ არ ერთიანდება. არჩევანის გაკეთება, ნამდვილად, შესაძლებელია. ჩვენ, ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ ყოველი არჩევნები ისტორიული მნიშვნელობისაა. აქედან გამომდინარე, არა ნაცებს, ამ არჩევნებს წითელ ზოლად უნდა გასდევდეს. რაც შეეხება მიშას, მასზე რაც შეიძლებოდა, ყველაფერი ნათქვამი მაქვს. ერთს გეტყვით: სააკაშვილი ციხეში — ეს არის ესქატოლოგიური მოლოდინის დასასრული, რაც ძალიან ჰგავს ნიცშეს სიტყვებს: ღმერთი მოკვდა. სააკაშვილი ციხეში ეს, დაახლოებით, იგივეა, რომ ვთქვათ: ლენინი დამარხეს. სააკაშვილს არ სწამს, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ღმერთი არსებობს და მის წინაშე, აუცილებლად, წარსდგება.



**ნიკუშა შენგელაია**, მხატვარი:

ჩემი მოწოდება, ასეთია: ყველანი არჩევნებზე და ხმა მივცეთ სტაბილურ, მშვიდობიანი მომავლის საქარველოს. არავითარ შემთხვევაში ხმა ბნელი წარსულის მობრუნებას არ უნდა მივცეთ, არამედ ქვეყნის განვითარებას და ნათელ მომავალს. ვეცადოთ, 2012 წლის არჩევნების მონაპოვარი არ დავკარგოთ. დიახ, ყველა ვისაც ქვეყნის ბედი აღელვებს არჩევნებზე უნდა წავიდეს, რათა ქვეყანას მომავალი ჰქონდეს. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ეს, პირველ რიგში, სააკაშვილს ეხება. ყოფილი პრეზიდენტობა, არც პოლიტიკოსობა, არც პარლამენტარობა ინდულგენცია არ არის. როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე აგებს პასუხს კანონის წინაშე, ისევე უნდა აგოს სააკაშვილმაც. გაიძახიან: მიშას არაადამიანურად ეპყრობიანო. კარგად ვხედავთ, რომ მას არაფერი აკლია. სხვა პატიმრები მსგავსი პრივილეგიებით სარგებლობენ? რას ეძახიან არაადამიანურ მოპყრობას — ტელეფონით რომ ვერ საუბრობს?! მიშა თავისი შექმნილი რეჟიმის პატიმრებს დაელაპარაკოს და ისინი ეტყვიან: რას ნიშნავს არაადამიანური მოპყრობა!



**ელიზერ გვენეტაძე**, ისტორიის დოქტორი, პროფესორი:

ხალხმა, მხოლოდდამხოლოდ, ერთი არჩევანი უნდა გააკეთოს: ეს გახლავთ ქრისტეს გზა! დიახ, დღეს დგას არჩევანი ქრისტესა და ბარაბას გზას შორის. მახსენდება, 1990 წლის 26 მაისს, ლოკომოტივის სტადიონზე დიდი ზვიად გამსახურდიას მიერ ნათქვამი სიტყვები: აირჩიე, ქართველო ერო, ქრისტეს და არა ბარაბას გზა! ბუნებაში ორი რამ არის — სიკეთე და ბოროტება. არ ვამბობ, რომ „ქართული ოცნება“ შეუმცდარია, მაგრამ საქართველოში ბუდობს ქართველი ერის მტერი, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია. ამიტომ, ყველამ, ვინც საარჩევნო ყუთთან მივა, ხმა საქართველოს განვითარებას და მშვიდობას უნდა მისცეს და არა „ნაცმოძრაობას“. ნაცები გაჰყვირიან: გავიმარჯვეთო. ეგენი, როგორც ჰიტლერმა გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში, ზუსტად, ისე არიან გამარჯვებულნი. გულს იმაგრებენ, რათა საკუთარი ამომრჩეველი არ დაკარგონ. დღეს, „ნაცმოძრაობისთვის“ ხმის მიცემა იგივეა, მხარი ჯალალაედინის, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასის ან აღა-მაჰმად-ხანისთვის რომ დაგეჭირა. ერთი წლის განმავლობაში, უკვე, ორჯერ, ქართველმა ხალხმა 47%-იანი მხარდაჭერა გამოხატა რეალური ძალის — „ქართული ოცნების“ მიმართ. მის სათავეში დგას გულჯიგრიანი ქართველი ირაკლი ღარიბაშვილი, რომლის მთავარი კრედო ილიასეული მამული, ენა, სარწმუნოება და მისი დაცვაა. ქართველმა კაცმა ხმა „ქართულ ოცნებას“ უნდა მისცეს. საქართველოს, დღეს, სჭირდება: მშვიდობა, მშვიდობა და კიდევ მშვიდობა! ამის გარანტია კი მმართველი ძალაა. მე, ვნატრობდი, რომ გამსახურდიას მერე, ხელისუფლებაში ისეთი კაცი მოსულიყო, როგორიც ირაკლი ღარიბაშვილია. მან, მე, მაგრძნობინა, რომ ქართველები ვართ და სახელმწიფო გვაქვს. თორემ, აქამდე, კუბილიუსები იყვნენ ჩვენი უფროსები. ღარიბაშვილმა კი ნათლად თქვა: ჩემი უფროსი არის ქართველი ხალხიო. მას ყველა მხარში უნდა დაუდგეს. იგი, ჯანსაღ საქართველოს არავის დააკორტნინებს. მათ შორის, არც სააკაშვილს, რომელიც წმინდა წყლის კრიმინალია. მან არაერთი დანაშაული ჩაიდინა ქართული სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. ამიტომ, მან ის სასჯელი უნდა მოიხადოს, რაც ქართულმა სასამართლომ გამოუტანა და კიდევ გამოუტანს.



**დიმა ლორთქიფანიძე**, დამოუკიდებელი უფლებადამცველი:

ერთადერთი სწორი არჩევანი, რაც დღეს, თავის ქვეყანაზე შეყვარებულმა, ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანმა უნდა გააკეთოს, ეს გახლავთ მხარდაჭერა სტაბილურობის შენარჩუნებას. არჩევანი უნდა გაკეთდეს ასე — ვის უყვარს საკუთარი ქვეყანა და არა ძალაუფლება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს, პოლიტიკური პრაგმატიზმიდან და არა რაიმე სენტიმენტებიდან გამომდინარე, „ნაცმოძრაობამ“ და მისმა გამონადენმა 15 გეი-პოლიტიკურმა პარტიამ, არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს. ამ ხალხმა, „ნაცმოძრაობასთან“ ერთად, კარლ ჰარცელისა და კელი დეგნანის წინაშე, ხელი გეი-მემორანდუმს მოაწერეს, რითაც აიღეს ვალდებულება: მომავალ თაობებს გამოურეცხონ ტვინები, გადაუგვარონ ზნეობრივი კოდი, დააკანონონ მამათმავლობისა და ლესბოსის სოდომური ცოდვა და ა.შ. ასეთი პარტიების მიმართ მხარდაჭერა, დანაშაულად მიმაჩნია. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არჩევნების მერე, ჩვენ, გარკვეული პაუზა გვჭირდება, რათა ქვეყანამ ამოისუნთქოს. არ შეიძლება ყოველი წელი საარჩევნო იყოს და მუდმივად, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გავიძაოდეთ. რაღაც დრო ხომ გვჭირდება, რათა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდი გავიდეს და ქვეყანამ სტაბილიზაციისკენ გადადგას ნაბიჯი. ჩვენ, კონსერვატიულ ფრთას გვჭირდება დრო იმისთვის, რომ ერთმანეთთან მჭიდრო კონსულტაციის გავლის გზით, კონსერვატული ფლანგის ფორმირება და ქვეყნის ეროვნული ინტერესის გარშემო კონსოლიდაცია მოვახდინოთ. ამ დროს, ნაყოფიერად გამოვიყენებთ, თუკი ქვეყანაში დესტაბილიზაციის წყარო არ გაჩნდება და საზოგადოება „ნაცმოძრაობას“ ხელმძღვანელებად არ მოიყვანს, თუნდაც, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, ქალაქებში. ძალიან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს: საქართველოს ბედი სწორედ, ახლა, წყდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საარჩევნო ველი ბოლო 20 წელია დაბინძურებულია, მე, მაინც, მიმაჩნია: ქართული საზოგადოება იმდენად ბრძენი, პრაგმატულად მოაზროვნე და კარგად გარკვეულია თანამედროვე პოლიტიკურ კონიუნქტურაში, რომ საკუთარ არჩევანს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება. ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: თბილისს, კახა კალაძე, დიდი უპირატესობით მოიგებს. ჩემი მიზანია ნინო ლაცაბიძემაც მოიგოს რუსთავი, რათა სისხლიანი ხელებით წასული და უკან დაბრუნებული კირკიტაძე, ხელისუფლებაში ვეღარასდროს მოგვევლინოს.



**რამაზ საყვარელიძე**, ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი:

ხალხს ძალადობაზე აგებული ხელისუფლება, ანუ „ნაცმოძღაობა“, აღარ უნდა. აი, ასეთი ალტერნატივა გვაქვს. სამწუხაროდ, ქვეყანაში არის ადამიანების გარკვეული ჯგუფი, რომელიც ნაცების ძალადობას ემხრობა. უნდა გვახსოვდეს, რომ „ნაციონალების“ პოლიტიკურმა ცხოვრებამ, თავის დროზე, ტერიტორიები დაგვაკარგვინა, ბიზნესი ხელისუფლების მოსამსახურე გახადა, ადამიანების უფლებები შეავიწროვა დაწყებული რელიგიურიდან სიცოცლის უფლებით დამთავრებული. დასანანაია, რომ ამ ყველაფრის მომხრე ადამიანები საქართველოში ისევ არიან. იმედი ვიქონიოთ, რომ მშვიდობის მომხრეები გაიმარჯვებენ. მათ, არჩევნებში ენერგიულ, აქტიურ მონაწილეობას ვუსურვებ. დღეს, საქართველოს, სწორედ, ეს სჭირდება. რაც შეეხება მიშას პატიმრობას. მისი გათავისუფლების მოთხოვნა, ძალიან ბევრი ადამიანისთვის შეურაცხმყოფელია. ეს, კიდეც თქვეს მათ, ვინც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ახლობლები დაკარგეს. მართლაც, რა პასუხს სცემენ ამ მოთხოვნის მქონენი შვილმკვდარ მშობლებს?! მგონი, ეს პოლიტიკური საკითხიც აღარ არის, არამედ მორალური. ხელისუფლებამ სააკაშვილის გათავისუფლებისკენ ნაბიჯი რომ გადადგას, საკუთარ მომხრეებს დაკარგავს. ასე, რომ ამ თვალსაზრისით, ხელისუფლებას სხვა გზა არც აქვს გარდა იმისა, რომ სამართალმა პური ჭამოს. დიდი ეჭვი მაქვს, რომ თავად სააკაშვილისთვისაც არ არის ციხეში ყოფნა ისე მიუღებელი, როგორც გარეთ. ფაქტობრივად, იგი ამ ნაბიჯზე წავიდა. ასევე, დიდი ეჭვი მაქვს, რომ მას არც უკრაინაში დაედგომებოდა და უფრო მაგიტომაც დაბრუნდა. სააკაშვილი, ამ პირობებში, თუ გაათავისუფლეს, არ მგონია მან თავი უკეთ იგრძნოს თუნდაც, იმიტომ, რომ მას ქუჩაში თავი არ გამოეყოფა.

# არჩევნებამდე სამი დღით ადრე?



**მერაბ შათირიშვილი**, მწერალი:

ომს ვინც აგებს, უნდა გასამართლდეს. მსოფლიოში ჯერ არ ყოფილა არცერთი პრეცედენტი იმისა, რომ ომის წამგები ხელისუფლება არ გასამართლებულიყო. ნაპოლეონი, ვატერლოოს ომის შემდეგ, გადაასახლეს, ჰიტლერმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. დიახ, მან ომი წააგო და თავი იმიტომ მოიკლა. სააკაშვილმა კი, წაგებულ ომზე „გამარჯვება“ იზეიმა. სრულ სიგიჟესთან გვაქვს საქმე.

სააკაშვილი ისეთ ციხეში უნდა ჩასვა, როგორიც თავად შექმნა და მერე ვნახოთ, რას იტყვის არაადამიანურ მოპყრობაზე! მის ციხეში მორიგეობით ეძინათ. ათ-საწოლიან საკანში 40 პატიმარი იყო და ძილი ფეხზე მდგომებს უწევდათ. თუმცა, ამასთან ის წამებები რა მოსატანია, რასაც მისი ჯალათები ახორციელებდნენ. ციხის ბუნტი გაითამაშეს და ხალხი დახოცეს.

სისხლში აქვს ხელები გასვრილი და გვეუბნებიან: პოლიტ.პატიმარია, თავისუფლება მიშასო. ქართველმა ხალხმა ეს თუ დათმო, ქვეყანა დაგვეღუპება. ახლა, „ქართულ ოცნებაზე“ განაწყენების დრო არ არის. ერი უნდა გაერთიანდეს და 30 ოქტომბერს მტარვალებისგან ქვეყნის გადარჩენას უნდა მისცეს ხმა.



**გელა ნიკოლაიშვილი**, იურისტი:

მათ გამოხატვის თავისუფლება, მხოლოდ, თავისთვის უნდათ. ამიტომაც თქვა სააკაშვილმა — ყველანი ციხეში, არავითარი დანდობაო. ყველანი ციხეში — ამ ლოზუნგს პირნათლად ასრულებდნენ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ. ახლა, სურთ, იგივე ოპოზიციაში ყოფნისას გააკეთონ. მათი იდეოლოგიური ფრონტის ჟურნალისტებიც ამას მოითხოვენ — ყველანი ციხეში. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქარავას ექსპერტიზისას მათივე ექსპერტმა განაცხადა: შეუძლებელია ოპერატორი ცემის შედეგად გარდაცვლილიყოო, მაინც გაიძახიან: ქუცაში გამოსულმა ხალხმა მოკლაო, მის უკან კი, ხელისუფლებას გულისხმობენ. ანუ, მათ ხომ გვამებზე ძალიან დიდი მოთხოვნილება აქვთ. მერაბიშვილის გამოთქმა გავიხსენოთ: ორი გვამი მჭირდება. მათ სჭირდებათ ეს გვამები — სარალიძის, შაქარაშვილის, ბაჩალიაშვილის, მაჩალიკაშვილის და ა.შ. გახმაურებული მკვლელობა იყო თუ თვითმკვლელობა, ყველა შემთხვევაზე ეცადნენ, თავიანთი პოლიტიკური დივიდენდები მიეღოთ და კამპანია ეწარმოებინათ. ასევე, ია კერძაიაზე, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლების ერთი თვის თავზე გარდაიცვალა. ესენი ამბობენ: მთავრობამ მოკლა, ანერვიულაო. სრულიად ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენებია. რასაც „ნაცები“ აკეთებენ, ამას ნეკროფილია ჰქვია. ოღონდ, გვამი იყოს და ამ საცოდავი ადამიანების ცხედრებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. თავიანთი ხელისუფლების დროს უამრავი გვამები დატოვეს და ამის გამო კომპლექსი აქვთ — უნდათ მკვლელობა ახალ ხელისუფლებას დაბრალდეს, რათა მათკენ ხელი ვეღარ გაიშვირონ. ეს არის მიზანი.



**ლუკა კურტანიძე**, ყოფილი პარლამენტარი:

მთავარი რამ უნდა გითხრათ: „ქართული ოცნება“, პირველ რიგში, არის იდეა და არა პარტია. დიახ, ეს გახლავთ დალოცვილის იდეა, რაც თავის თავში გამთლიანებულ, ძლიერ, ევროპულ საქართველოს მოიცავს. ეს, შემდგომ, პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიის სახით ჩამოყალიბდა.

საქართველოში სააკაშვილის დროს სიკვდილი და შიში სუფევდა, დღეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა. „ქართული ოცნების“ საქართველოში არავის ეშინია, რომ კერძო საკუთრებას წაართმევენ ან თავისუფალი სიტყვის გამო დასჯიან.

დღევანდელ ხელისუფლებას მოვუწოდებ: თავის სიმაღლეზე დადგეს და იმ ადამიანებს, ვინც ცხრაწლიანი რეჟიმის გაცოცხლებას ცდილობენ, დღემდე იმუქრებიან, თავისი ადგილი მიუჩინოს. ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია.

ეს სასაცილოა. სააკაშვილის ციხეები ნამდვილი სასაკლაოები იყო, სადაც ღირსებას მთელს ოჯახს ჰყრიდნენ. გასახსენებლად, რეჟიმისგან წამებული მოლაშვილი, თეთრაძე, ასობით გაუპატიურებული ახალგაზრდებიც კმარა. ესენი რომელ უფლებებზე საუბრობენ? დალოცვილის ლმობიერი პოლიტიკა რომ არა, სააკაშვილი, დღეს, ციხეში კი არა, მისი ბუნდღა აღარ იქნებოდა. მან, ენით აღუწერელი სისასტიკეები ჩაიდინა.

მე, არ ვარ ადამიანების დასჯის მომხრე, მტერსაც კი ვპატიობ. მაგრამ რეჟიმი, რომელიც მთელს ერს ენით აუწერელი სისასტიკით მოეპყრო, უნდა გასამართლდეს. ნაძირალა მეგის ქარდავას, სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებს ქართული მიწა ფეხქვეშ უნდა ეწვოდეთ. თითოეულ მათგანს ჩვენს მიწაზე ფეხი არ უნდა დაედგმებოდეთ. ძველი ევროპა რომ იყოს, ყველამ კარგად ვიცით მათნაირებს როგორადაც დასჯიდნენ.



**მამუკა არეშიძე**, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

დიახ, დასავლეთი ფიქრობს, რომ კოალიციური მთავრობის კონტროლი უფრო მარტივი იქნება, რათა საკუთარი პოლიტიკა გაატარონ. მაგრამ ვერ ითვალისწინებენ კავკასიურ მენტალიტეტს. მათ არ იციან, რომ კოალიციური მთავრობის ხელში, ქვეყანას პატრონი აღარ ეყოლება. მით უფრო ქაოტური ვითარება იქნება, რაც დესტაბილიზაციას გამოიწვევს, ეს უკანასკნელი კი დასავლეთის გავლენების შემცირებას და ა.შ. სამწუხაროდ, ამას ვერ ხვდებიან და ცდილობენ ერთნაირი მეთოდოლოგიით იმოქმედონ, როგორც აფრიკაში, ლათინო-ამერიკაში, ისე საქართველოში. ამიტომ აქვს, ბოლო დროს, დასავლურ პოლიტიკას ამდენი მარცხი. ამის მაგალითებია ერაყი, ავღანისტანი და ა.შ.



**ელიზბარ ჯაველიძე**, მწერალი, აკადემიკოსი:

მმართველი ძალა ნაძირალა ნაცების თავდასხმებს ითმენს და მუდმივად, თავის მართლების რეჟიმშია. დღესაც, ასეა. აქეთ, დასავლეთი მოგვიწოდებს: ნაცებს ხმა არ გასცეთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ხულიგანი მელია ციხიდან გამოგვაშვებინეს, ისიც, პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობს და მერე თითს „ქართული ოცნებისკენ“ იშვერს. ნიკანორი ჩემს უბანში ცხოვრობდა და როგორც სააკაშვილი, იგიც, შიშით გარეთ ცხვირს ვერ ჰყოფდა. უცებ, გახდა ძველი ბიჭი, ბუნტისთავი. ეს ვისი ბრალია? — იგივე, შარლ მიშელის, რომელმაც ერთ-ერთ მთავარ პირობად მელიას ციხიდან გათავისუფლება წამოგვიყენა.

ნამდვილ თბილისელებს საკმაოდ კარგად ვიცნობ. მელიას მხარდამჭერები თბილისელები არ არიან. მეტსაც გეტყვით: ისინი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები არ არიან. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ სამშობლოზე მოფიქრალი ხალხი, რომელმაც სააკაშვილის ყველა მზაკვრული ნაბიჯი იცის, მას მხარს დაუჭერს. გნებავთ, ჩამოვთვალოთ სააკაშვილის ნამოქმედარი: მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, პირდაპირ, სახლებში შევარდა და ნახევრად შიშველი ცოლ-ქმარი საწოლიდან წამოყარა, თან ამას ტელევიზიის საშუალებით გვაყურებინებდა. ვითომ, ამით, წესრიგი დაამყარა. მერე, ბორდელებში შევარდა და ბოზები დააპატიმრა. შემდგომ მიადგა ბიზნესმენებს და მათი დაყაჩაღება დაიწყო. ნოტარიუსებს შუაღამეზე იბარებდნენ და ქონებების გადაფორმება ხდებოდა. ახლო მეგობარი მყავს, რომელიც დეპუტატი გახლდათ. ელექტროსადგური — ჭითახევი ჰქონდა, რომელიც ენერგიას ბორჯომს ახმარდა. დეპუტატობის ვადა რომ გაუვიდა, ნაძირალა ადეიშვილმა დაიბარა და უთხრა: თუ ჭითახევს არ გადმოგვცემ, ციხეში გაგიშვებთო. იცით, ვინ იმყოფებოდნენ ამ ბატონის კაბინეტში? ხაზარაძე და ჯაფარიძე. ისინი აძლევდნენ ცნობებს: ვინ, რას აკეთებს. ნაცებმა ბიზნესები მოსპეს და მიითვისეს. მერე, თანხებს უცხოეთში აგზავნიდნენ. მთელი საქართველოს მოსახლეობა გარეთ დატოვეს, ქუჩაში გამოყარეს, დაბეგრეს. ახლა, გამოდიან და ხალხს ეუბნებიან: ჩვენ, დაგიცავთ, გადაგარჩენთო.

ბოლოსდაბოლოს ქართველი ერი ამ კრიმინალებისგან უნდა გაიწმინდოს. ნაცებს ქართულ მიწაზე სიარულის უფლება არ აქვთ. მორჩა! — ჟურნალისტი იქნება ეს თუ სხვა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს.



**იგორ კვესელავა**, პოლიტოლოგი:

ეს არჩევნები ძალიან რთული იქნება, ერთი მხრივ, მიშელის დოკუმენტის ჩაშლის გამო, მეორე მხრივ, აშშ-ის ინტერესების გამო, მესამე მხრივ — რუსეთის ფაქტორის გამო, მეოთხე მხრივ — თვითონ, შიდა, პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირების გამო. საით მივდივართ? — ზღაპარში როგორ არის ხომ გახსოვთ: წახვალ მარცხნივ — დაიღუპები, წახვალ მარჯვნივ — დაიღუპები. საით წავიდეთ? — წინ ვიაროთ, იქ, უფსკრულია. აქ, გვმართებს უკან დახევა, სწორი ნაბიჯების გადადგმა და ეროვნულ სახელმწიფოებრივი კონცეფციის შემუშავება, რაც საქართველოს კავკასიაში თავის სულს, ცნობიერებას და ადგილს შეუნარჩუნებს. ეს როგორ უნდა გაკეთდეს? — ხელისუფლებამ უნდა შეიმუშავოს ქვეყნის განვითარების მოკლევადიანი პროგრამა.

სად ვართ, ჩვენ, როგორც საქართველო, როგორც მმართველობა, დამოუკიდებელი ქვეყანა? დამოუკიდებელი ვართ ქაღალდზე? თუ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მიშელის და კონგრესმენების ნათქვამი, ჩვენთვის, გადამწყვეტი არ უნდა იყოს. დიახ, გადამწყვეტი უნდა იყოს საქართველოს საზოგადოებრიობის ხმა. რას იტყვის ქართველი ქართველზე, საქართველოზე, ხელისუფლებაზე, ეს უნდა იყოს გადამწყვეტი და არა ის, რას იტყვის მიშელი. მოდით, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ყველამ ერთად საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის. აი, ეს არის მთავარი.



**გოგი თოფაძე**, ბიზნესმენი:

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისადმი მიდგომა აბსოლუტურად შეიცვალა.

„ქართული ოცნება“ მეცხრე წელია, რაც ხელისუფლებაშია და ამ ხნის განმავლობაში ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ფაქტს, რომ ვინმესთვის ბიზნესი წაერთმიათ, ვინმე დაეჩაგრათ, ან ხელი შეეშალათ ბიზნესსაქმიანობაში. პირიქით, სახელმწიფო ბიზნესის ერთგული მხარდამჭერი და პარტნიორი გახდა.

ეს არის სიმართლე და ვისაც ამ სიმართლის დანახვა არ უნდა, ის არ არის კეთილსინდისიერი ადამიანი.

შევარდნაძიდან მოყოლებული, ყველა მერთან მიმუშავია, ყველა მათგანი კარგად მახსოვს და მინდა გითხრათ, რომ ქალაქის ასეთი ხელმძღვანელი, როგორიც კახა კალაძეა, აქამდე არ გვყოლია.

გაიხედ-გამოიხედეთ გარშემო — ქალაქი გალამაზდა, სწრაფი ტემპებით ვითარდება ისე, რომ კიდევ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ევროპულ ქალაქებსაც აჯობებს.

რაც კახა კალაძემ გასული ოთხი წლის განმავლობაში გააკეთა, ამას ბევრი ათ წელიწადში ვერ მოახერხებდა.

უცხოეთიდან სტუმარი ჩამომივიდა ამასწინათ. ის ადრეც იყო ნამყოფი თბილისში. გაოცებული და გაკვირვებული დარჩა — როგორ შეცვლილა თქვენი ქალაქი, როგორი სხვანაირი გამხდარაო.

ჩვენ, რადგან აქ ვართ და რადგან ჩვენს თვალწინ ხდება ეს ყველაფერი, სასიკეთო ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ. უცხო თვალმა კი იმწამსვე დაინახა.

ჩვენს მერს კახი კალაძეს ჰყავს შესანიშნავი გუნდი. ირაკლი ხმალაძე გამახსენდა ახლა, უცებ — შესანიშნავი ახალგაზრდა. ენერგიული, საქმის მკეთებელი გუნდი ჰყავს კახის შემოკრებილი. დღე და ღამე არ ისვენებენ, რადგან ძალიან ბევრი პრობლემა დახვდათ ამ ქალაქში.

აქვე არ შემიძლია არ ვახსენო საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საქმიანი, მაგრამ უხმაურო კაცი. არც ტელეკამერების წინ ჩნდება და პრესასაც თავს არიდებს, არ უყვარს საკუთარი ნამოქმედარის გამომზეურება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საქმეები თვითონ ლაპარაკობენ გიორგის ტყემალაძის პიროვნებაზე.

გიორგი კარგი ორგანიზატორია, წესიერი, ყურადღებიანი. მთავარია, ვინმეს გასაჭირი მის ყურამდე მივიდეს, გადაატრიალებს ყველაფერს და თუ საკითხი მოსაგვარებელია, აუცილებლად მოაგვარებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი გაცვეთილ დებილიუსს, დანჯღრეულ ელიუზბიეტას და ეკა ზღულაძის „ჟანგიან ლურსმანს“



რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოყაყანე კორესპონდენტებმა ჰკითხეს, ევროპარლამენტარების წერილზე რას იტყვით, სადაც მიხეილ სააკაშვილზეა საუბარიო?

რაო, რა უნდათო? - იქით იკითხა პრემიერმა.

ისინი ითხოვენ, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებამდე მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა უნდა შეჩერდესო.

ჩვენში დარჩეს და... მართლა ვერ არიან ესენი, რატომ უნდა შეჩერდეს, ან რატომ უნდა გათავისუფლდეს, როცა იგივე გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი აქვს გამოტანილი?!

ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი იყო სწორი, სამართლიანი, პრინციპული და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელთაგან ვერავინ რომ ვერ გაბედავდა, ისეთი:

„არც ფოტიგა, არც კუბილიუსი, არც არავინ ჩემთვის და ჩვენი ქვეყნისთვის არაფერს წარმოადგენენ. ამ ქვეყანაში კანონისა და მართლმსაჯულების აღსრულებას წინ ვერავინ აღუდგება. ევროპარლამენტში არის შვიდასი დეპუტატი და ჩვენ ვერც ფოტიგას ჭკუით ვივლით, ვერც კუბილიუსის, ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას. მინდა, თქვენ მიერ ჩამოთვლილ რამდენიმე ევროპარლამენტარს შევახსენო, მათ პირადი ნაცნობობა, მეგობრობა აქვთ მიხეილ სააკაშვილთან, აღარ მინდა გავაგრძელო... ბატონი გლუკსმანი არის ეკა ზღულაძის მეუღლე, მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის მეუღლე და იყო სააკაშვილის მრჩეველი, მისი ხელი ურევია ამ დიქტატორული რეჟიმის მშენებლობაში. ვინ არის საერთოდ ფოტიგა, რატომ ბედავენ ამდენს? ეს არის ჩვეულებრივი მანიპულაციები, რათა არჩევნებამდე შექმნან განცდა, თითქოს რაღაც ზედმეტი ყურადღებაა ევროპარლამენტიდან“.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად ღარიბაშვილის ასეთი პრინციპული პასუხუსა, კუბილიუსი და სხვები მაინც არ ისვენებენ, აცხობენ და აცხობენ წერილებს. პრემიერის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ თუ სააკაშვილი წესიერად არ მოიქცეოდა, მის წინააღმდეგ ახალი საქმეები გაჩნდებოდა, ამან აჩვენა, რომ სასამართლოს პოლიტიზირება საქართველოში დასრულებული არ არის და ეს უდიდესი პრობლემააო.

მე პირადად 1993 წლიდან მესმის მავანთა და მავანთა ჭკუაზე დამრიგებლური ტონი, ზოგის გვარი მახსოვს, ზოგისაც წარიხოცა და წაიშალა, როგორც ასფალტიდან წვიმის დროს გადარეცხილი ნეხვი. შევარდნაძის დროს გამოჩნდა ვიღაც ვაცლავ ვალავი სავალუტო ფონდიდან, იტყოდა ვინმე რამეს და ვალავი ჩამოვა, ვკითხოთო... ვალავი არ გაბრაზდეს, თორემ მეორე ტრანში აღარ წამოვაო... რაკი ვალავმა თქვა, „ზნაჩიტ“ეგრეაო. შემდეგ გამოჩნდნენ სხვა ვალავები, სხვა ჩათლახები, ბრაიზები, გლუკსმანები და მათნაირები, ფულები რომ მიჰქონდათ აქედან „პრავიზონკებით“. ზეინო ბარანი გახსოვთ? რეგიონალურ ანალიტიკოსად მოიხსენიებდნენ ხოლმე და როცა ქალბატონ ბარანს (რუსულად „ცხვარი“) მეთიუ ბრაიზა შეუყვარდა (თუ პირიქით, ბრაიზას შეუყვარდა), ხელი თურქეთში მოაწერესო. ავი ენები ამბობენ, ქორწილი სააკაშვილმა გადაუხადაო. იმ პერიოდში უამრავი ინფორმაცია ვრცელდებოდა, ბინა აჩუქესო. სად აჩუქეს, ეგ დაუდგენელია. ახლა, მიხეილი ბრაიზას უსაჩუქროდ რომ არ დატოვებდა, ცხადია. ასევე არ ტოვებდა უკმაყოფილოდ სხვებსაც, ამის თაობაზე გიგა ბოკერიას უნდა ჰკითხონ სათანადო ორგანოების წარმომადგენლებმა, მაგას ებარა ყოველწლიური 20 მილიონი ე.წ. ლობისტებისთვის, სინამდვილეში კი მექრთამეობისთვის.

ევროპასა და ამერიკაში კორუფცია არ არისო, დემოკრატია ყვავისო. ამაზე მეცინება, კორუფცია „ევროპებსა“ და „ამერიკებში“ როა, ისეთი უნდა, ოღონდ ლობისტობა დაარქვეს მაგ უხეირო საქმიანობას.

სხვათა შორის, ეს თემაც ცალკეა გამოსაძიებელი, ამათ 9 წლის განმავლობაში მილიონები აქვთ გაზიდული და რაკი ახლა შემოაკლდათ, გაავდნენ, გადაირივდნენ, ისევ იმ დროის შემობრუნებას ცდილობენ. ვერა, აღარ გამოვა მაი ამბავი, ვეღარც ე.წ. ფერად რევოლუციას მოგვიწყობენ, წავიდა ეგ დროც. მართალია, ჩვენი მოსახლეობის მცირე ნაწილი, დაახლოებით 15-20% ჯერაც ვერ გამოსულა მიხოს მოჯადოებული წრიდან, მაგრამ დანარჩენებმა მშვენივრად ვიცით, რომ ეგ პერიოდი დასრულებულია, გარეთ 21-ე საუკუნეა და დედამიწაზე სხვანაირი პოლიტიკური სიო უბერავს. რაღა დროს კუბილიუსის (დებილიუსის), ფოტიგას და გლუკსმანის რეკომენდაციებია?

გითხარით, ეს დებილიუსი არ ჩერდება-მეთქი, ჩაისვია და ვეღარ გაუგია, როდის რას ბოდავს, მიხოს გამოშვება უნდა, მიზანი დაისახა დიადი და ნათელი, თუ თავისას მიაღწია, დანარჩენს მერე მიხედავს, ვალს თემურ ალასანია გაისტუმრებს. თურმე ქვეყანაში პოლარიზაციის დონე გვაქვს შესამცირებელი, თუ საქართველო არსებული ვითარებიდან არ გამოვა, ეს დააზიანებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესსაც. ხედავთ, რამდენ რამეზე გვაქვს საფიქრალი? თუ მიხოს ციხიდან არ გამოვუშვებთ, ქვეყანაში პოლარიზაციის დონე არ შემცირდება და ეს დააზიანებს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს, ჩვენ ვერ გავითავისებთ ევროპულ ღირებულებებს და უთუოდ აღმოვჩნდებით ვლადიმერ პუტინის კლანჭებში. გაიგონეთ? გესმით, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ტვინნაღრძობ სააკაშვილს, რომელიც თავის ე.წ. მეორე სამშობლოში არაჟნით სავსე ტრაილერით შემოიპარა? კუბილიუს-დებილიუსს არ აინტერესებს, რა მოხდა საქართველოში 9 წლის წინ 9 წლის განმავლობაში, ფეხებზე ჰკიდია სანდრო გირგვლიანი, ირინა ენუქიძე, ბუტა რობაქიძე, გურამ შარაძე, სულხან მოლაშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო, ამის დედა ვატირე, ან კი რამდენჯერ უნდა ჩამოვთვალო?!

კუბილიუს-დებილიუსი ჩემი ქვეყნის საზღვრებს გარედან მიყვება იმის თაობაზე, თუ რა სურს ქართველ ხალხს. ადრეც დავწერე და ვიმეორებ: 30 წლის განმავლობაში ნერვებს მიშლის ტენდენცია, როცა გაბღენძილი ე.წ. პოლიტიკოსები თუ დიპლომატები მაძლევენ რეკომენდაციებს, რა იყო, რა არის და რა იქნება საქართველოში. გეგონება მე არაფერი დამინახავს, ვერაფერს ვხედავ და ვერც მომავალში დავინახავ.

ჰო, იმაზე მოგახსენებდით, ქართველი ხალხის სურვილებზე გადამთიელები რომ მელაპარაკებიან... აგერ, კუბილიუსი გვეუბნება, ქართველ ხალხს ძალიან სურს, შეუერთდეს ევროკავშირს და პოლიტიკოსებმა ეს უნდა უზრუნველყონო. უკაცრავად, მაგრამ ქართველ ხალხს რომ ტერიტორიების დაბრუნება უნდა და რუსეთის ხელისუფლებასთან დალაპარაკების სურვილიც აქვს, ამაზე რატომ არაფერს ამბობენ? გადის წლები და ჩვენ მხოლოდ უაზრო რეზოლუციებით გვკვებავენ, დღემდე 400 რეზოლუციაა მიღებული და აქედან ერთიც არ შესრულებულა, ყველა ტუალეტშია დასაკიდი!

გინდათ, გაცინოთ? აეს ბებერი ევროპარლამენტარი იძახის, სააკაშვილთან დაკავშირებული ვითარება იგივეა, რაც მოხდა უკრაინაში იანუკოვიჩის დროს ტიმოშენკოსთან მიმართებითო. თუმცა, რა თქმა უნდა, სავარაუდოდ ეს განსხვავებული ისტორიებია და მათ სხვადასხვა ლეგალური მახასიათებლები აქვთ, მაგრამ ბრიუსელში, პირველ რიგში, საკითხი ეხება აღქმებსო. სიტყვა „აღქმები“ გეცნობათ? რამდენიმე თვის წინ ნიკა გვარამიამ გამოიყენა, შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები მოიგოს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ამ შემთხვევაში მთავარი არის არა რეალობა, არამედ აღქმაო. როგორც ჩანს, გვარამიამ ასეთი მიდგომა კუბილიუს-დებილიუსის დოქტრინიდან გადმოიღო. ახლა ხვდებით, როგორ შეიძლება, ომი წააგო, მაგრამ თავი გამარჯვებულად გამოაცხადო? არჩევნები წააგო, მაგრამ მთავრობა მაინც ჩამოაყალიბო და ამ მთავრობის წევრები სცენაზე ამაყად გამოიყვანო? ყოველთვის მიკვირდა, როგორ მოხდა, რომ ავანტიურისტმა, უპატრონო, მაწანწალა ადოლფ ჰიტლერმა გერმანელი ერი ჭკუიდან გადაიყვანა? ახლა აღარ მიკვირს - აი, ასე გადაიყვანა, რეალობა სხვანაირია, მაგრამ თურმე მთავარი მაინც „აღქმებია“, მხოლოდ ასე შეიძლება წარმოაჩინო თეთრი შავად, სიკეთე - ბოროტებად, თბილი - ცივად, სიყვარული - სიძულვილად, კაცობა - არაკაცობად, ბოზობა - გმირობად და ასე შემდეგ. კი, სიტუაცია სრულიად სხვანაირია, მაგრამ რაკი გუბაზ სანიკიძისთვის სააკაშვილი გმირია, ესე იგი, ის მართლაც გმირია. არა, შეიძლება არ არის, მაგრამ ჩვენ „აღქმა“ უნდა გვქონდეს ასეთი.

სხვათა შორის, პატონი მიხეილი („არაჟნიანი“) ძალიან დიდ პატივს სცემს კუბილიუსურ „აღქმებს“ და გულმხურვალედ მიესალმება თბილისის მთავრობის მრავალფეროვნებას და კოალიციურ მმართველობას: „ჰაერში ტრიალებს გამარჯვებისა და ცვლილებების სუნი, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ“!









არა, ამას ხომ ასხია და... ამაზე უარესები კიდევ „ევროპა-ამერიკებში“ არიან, ახლა განახებთ, როგორ აღვივებს ჩვენზე გაავებული ბეთიუ ბრაიზა საქართველოში ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ განწყობას:

„ევროპა და ამერიკა უკვე დაღლილები არიან, ისინი აღარ ჩაერევიან საქართველოს შიდა დაპირისპირებებში, რომელიც ძალიან შემაწუხებელია“.

ვინ არის ბრაიზა, ვინ ეკითხება, ან საიდან იცის ამერიკა-ევროპის დაღილობისა თუ ოფლიანობის შესახებ? ეს ტიპი ერთ დროს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო, მისი ერთადერთი „ღირსება“ ის გახლავთ, რომ ზეინო ბარანის ქმარია (ვხუმრობ). ნახეთ, როგორ განგებ ხატავს სიტუაციას, თითქოს დასავლეთმა და ამერიკამ ხელი ჩაიქნიეს, თქვენგან არაფერი გამოვაო. ჯერ ერთი, ამ ყოფილებმა ხომ გაატრაკეს და... მეორეც - ყველამ თავის მამიდას და რძალმულს მიხედოს!

აგერ, არჩევნების მეორე ტურიც კარს მოგვდგომია... გარწმუნებთ, ჯალათები ვერსად გაიმარჯვებენ, რადგან ეს ცხოვრებისეულ რეალობას, კანონს ეწინააღმდეგება. ყველაფერი იქნება იმაზე კარგად, ვიდრე წარმოგვიდგენია. მადლობა ყურადღებისთვის, გაიხარეთ და გამრავლდით, კუბილიუს-დებილიუსები თავისთავად ჩაირეცხებიან!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ჯალათი მიშა, ჯალათის ცოლი, სანდრა მფატრავი და ლუციფერის სინდრომი

მივიწყებული ნაცბელადი ისევ აქტუალური თემაა მედიაში. გიული ალასანიას განცხადებით მის პირმშოს შეცდომა არ დაუშვია და ბოროტმოქმედები მისი ხელქვეითები ყოფილან მხოლოდ. „თანამებრძოლების“ განცხადებით კი მიხეილი პოლიტპატიმარია და უნდა გათავისუფლდეს. ექიმი ნიკოლოზ ყიფშიძე, საზოგადოებას ეტაპობრივად აპარებს, რომ მიხეილი კლინიკაში მკურნალობას საჭიროებს.

„აქ რომ მოვდიოდი, ვიცოდი, რომ ერთ-ერთი პარამეტრი საკმაოდ ცუდი იყო. ამიტომ გავუკეთეთ გადასხმა. გადასხმა საკმაოდ კარგად ჩატარდა. ციხის ექიმები და რეანომობილის ბრიგადა დამეხმარა. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. მაგრამ ეს პროცედურა საველე პირობებში ჩატარდა. საჭიროა, რომ მისი მკურნალობა მოხდეს სამოქალაქო საავადმყოფოში, არ შეიძლება ამის გაკეთება ციხის საავადმყოფოში. აქედან გადავიყვანოთ ციხის საავადმყოფოში, სადაც არ იქნება ბევრი რამე დაცული“. მიხეილის ორგანიზატორობით, ნაცჯალათები დალეწილ პატიმრებს საკნებში „აშუშებდნენ“.ჭრილობასაც არ უმუშავებდნენ. მორგში მიცვალებულ პატიმრებზე აბამდნენ. საკვებში და წყალში უფურთხებდნენ. უმძიმეს, ავადმყოფებს, რომლებსაც სასჯელის გადავადება კანონით ეკუთვნოდათ, უმძიმეს პირობებში სიკვდილამდე ტოვებდნენ საკნებში, რადგან სხვა მსჯავრდებულებისთვის მწარე მაგალითი ყოფილიყო. ონკოლოგიურ ავადმყოფებს, ბოლო სტადიით, რეანიმაციაში ბორკილებით აბამდნენ არა მარტო მამაკაცებს, ქალებსაც. მე, პირადად 2012 წელს საბადრაგო ავტომანქანაში მიღებული ტრამვის გამო კისრის მალებზე ოპერაცია ჩამიტარდა, რომელიც ოთხი საათი მიმდინარეობდა. ჩემთან ერთად კიდევ ორ ქალბატონს წელის მალებზე ჩაუტარდა ოპერაცია, სამივეს ფეხზე ბორკილები დაგვადეს. მნახველებზე და პროდუქტების მოწოდებაზე ოცნებაც არ ღირდა. 2010 წლის დეკემბრის ბოლოს ქალთა კოლონია და ციხე მატროსოვიდან რუსთავში გადავიდა. ეს პროცესი ყველა ქალი მსჯავრდებულისთვის დაპატიმრებაზე ბევრად უარესი გასახსენებელი გახლდათ. „ურჩ“ ქალებს სასტიკად გაუსწორდნენ, აგინეს, ცემეს, თმებით ათრიეს ბეტონის იატაკზე. ციხე-კოლონია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. საკნებში ბეტონის იატაკი, სველი კედლები. მოუწესრიგებელი კანალიზაცია. მხოლოდ პლასტმასის ჭურჭელი, რომლითაც ვერც წყალს დალევდი და ვერც ისედაც უვარგის საჭმელს დააგემოვნებდი. უმკაცრეს რეჟიმში, სადაც უკეთესი მომავლის იმედი მკვდარი იყო, კვირაში ხუთი- ექვსი ქალის გვამი ნაგვის ურიკით გაჰქონდათ. შიშველი, ორგანოებამოცლილი მიცვალებულები ახლობლების აღშფოთებას იწვევდა და აპროტესტებდნენ, მაგრამ ამაოდ...პატიმრებს ხშირად უთქვამთ, რომ იმ მიცვალებულების შურდათ, რადგან არსებულ ჯოჯოხეთს ველარ უძლებდნენ.

2010 წლის 31 დეკემბერს უმძიმესი ონკოლოგიური ავადმყოფი, მარტო დაამწყვდიეს საკანში. წყლის მიმწოდებელიც არავინ ყავდა და ერთმა პატიმარმა მორიგეს სთხოვა მომვლელად, ღამე მასთან დაეტოვებინა რა თქმა უნდა, უარი უთხრეს და ახალი წლის ღამეს თბილ მიცვალებულთან ერთად შეგვახვედრეს. პირველ იანვარს, სწორედ მიხეილის და მისი ხროვის მისამართით აღევლინა საყოველთაო წყევლა, რომელიც წესით მათ ცხრა თაობას „გაათბობს“. ურჩი პატიმრების მოსარჯულებლად, ნაწილის „დასაჩმორებლად“ და დიდი ფულის გასათეთრებლად სანდრა რულოვსის პატრონაჟით „დოც“და „დოც+-“პროგრამამ ახალი ჯოჯოხეთის სარკმელი გახსნა. უსაშინლეს ქიმიურ პრეპარატებს ძალით ასმევდნენ ჯანმრთელ პატიმრებს. პატიმრების ნაწილმა ვერ გაუძლო და დაიღუპა. ნაწილს კი ჯანმრთელობა ხანგრძლივად შეერყა. კოლონიაში გვიან, ოთხი თვის მერე მივხვდი, რატომ „აღმომაჩნდა““დოც+“და დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, შევწყვიტე პრეპარატების მიღება. მანამდე კი ექიმი ვაიძულე ფორმა ასში დაეფიქსირებინა, რომ სიცოცხლისთვის შეუსაბამო წნევა მქონდა. იძულებით, გადამიყვანეს ხუდადოვზე ტუბსაავადმყოფოში. სადაც პატიმრებისთვის განკუთვნილი ორი საკანი მორგში მდებარეობდა. მარწმუნებდნენ, რომ ფილტვზე ოპერაცია ჩემი სიცოცხლისთვის აუცილებელი იყო. უფლებადამცველმა სალომე აბულაძემ დიდი ბრძოლის შემდეგ მოახერხა და ორ საუკეთესო კლინიკაში გადავიღე „კატე“, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ უჯანმრთელესი ფილტვები მქონდა. რასაკვირველია, დღემდე მაქვს აღნიშნული დოკუმენტაცია. პროკურატურაში საქმეც იყო აღძრული, მაგრამ



დღემდე მთავარ პროკურატურას ნაცპროკურორები მართავენ და სანდრას თავის ბანდასთან ერთად ხომ არ დაიჭერენ?. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩემს გარდა სანდრას „დოც-“და „დოც+“პროგრამით უამრავი ყოფილი მსჯავრდებულია დაზარალებული. სწორედ ჩემი პროტესტის შემდგომ დადებითი პასუხი შვიდმა მსჯავრდებულმა დამცველის დახმარებით გადაამოწმა სხვა კლინიკაში და უარყოფითი პასუხი მიიღეს. სხვა შემთხვევაში მათაც მოუწევდათ ქიმიური, დამანგრეველი მედიკამენტების მიღება...

დღეს კი პრეზიდენტყოფილის ფერი და რომელიღაც ერთი პარამეტრი არ მოსწონთ, თურმე. ვინც ღაღადებს, რომ სააკაშვილმა არ იცოდა, რა ხდებოდა ციხეებში, არ იცოდა, მისი ხროვა როგორ ატერორებდა „ურჩებს“, შევახსენებ მათი ბელადის საყვარელ სლოგანს: „ნულოვანი ტოლერანტობა. ყველანი ციხეში!“ დღემდე შესაძლებელია სოციალურ ქსელში ნახონ მიხეილის განცხადება, რომ ტყვიები არ ენანება „კრიმინალებისთვის“და სწორედ მან ბრძანა მათი ლიკვიდაციაც. არადა, სიკვდილით დასჯა დიდი ხნის წინ აიკრძალა ჩვენს ქვეყანაში. დიახ, სწორედ მისი მითითებით ხოცავდნენ საჯიშე ახალგაზრდებს ქუჩაში და ციხეში. სწორედ ის გახლდათ ყველა მკვლელობის, ფიზიკური ანგარიშსწორების, სახელმწიფო თუ კერძო ქონების „ახევის“ ორგანიზატორი. მისი ხროვის წევრები ვერც უნდა ბედავდნენ პოლიტპატიმრის სტატუსის მისთვის მიწებებას. ვანო რომ ორ გვამს ითხოვდა და ერთი მიიღო, იქ არ ეგდო სატანა მიხეილი? დღემდე ამაოდ ეძებენ სამართალს გია კრიალაშვილის და და ახლობლები. შვილის დარდმა მოკლა დედამისიც... ვალერი გელაშვილს ვისი დავალებით გაუსწორდნენ სასტიკად? სწორედ სააკაშვილის ინტერესი გახლდათ მისი სამაგალითოდ დასჯა. მან დაავალა მერაბიშვილს, ხოლო მერაბიშვილმა თათბირზე გელაშვილის დასჯის სურვილი გააჟღერა, უგარეწრესმა ერეკლე კოდუამ უმალ გამოთქვა „დავალების პირნათლად“ შესრულების სურვილი და რა თქმა უნდა შეასრულა კიდეც.

რაღაც არ მახსენდება მაშინ დასავლელი თანამეგობრების აღშფოთება, როცა ზემოთ აღნიშნული ფაქტები ხდებოდა...

თერთმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ უდანაშაულოდ მიჩნეული, „ეი-ი-ეს-თელასის“ ფინანსური მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობისთვის ყოფილმა მსჯავრდებულმა გია გვიჩიანმა, რამოდენიმე დღის წინ „იმედის“ეთერში განაცხადა, რომ მისგან პატიმრობის პერიოდში ლომინაძის მკვლელობის შემკვეთად ჯერ იგნასიო ირიბარენის, შემდეგ კი ირაკლი ოქრუაშვილის დასახელებას მოითხოვდნენ. „6 მარტს გახსნილად გამოაცხადეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. იმავე საღამოს პარიზიდან მირეკავს თბილისის მაშინდელი მერი გიგი უგულავა, რომელმაც მთხოვა, რომ მეორე დღეს მიმეღო ჩემს კაბინეტში შსს-ს ოფიცერი, რომელსაც მრიცხველთან დაკავშირებით რაღაც საყოფაცხოვრებო პრობლემა ჰქონდა. აქ ოპერატიულად ამზადებენ ჩემს დაპატიმრებას და შსს-ს ოპერაციაში თბილისის მერს მიაღებინეს მონაწილეობა. ჯერ სცადეს ჩემი ლიკვიდაცია, გადამიყვანეს სხვა ციხეში, სამარტოო საკანში. მყავდა უცნაური ღამის სტუმრები. როცა მივხვდი, რასაც მიპირებდნენ, საჯარო, პრევენციული განცხადება გავაკეთე სასამართლოში და ჩემი ლიკვიდაცია ვერ განახორციელეს. ერთი ადამიანის დაუდასტურებელი ჩვენებით, მომისაჯეს სამუდამო პატიმრობა. ამის შემდეგ, დაახლოებით სამ კვირაში, შემოვიდა ადვოკატი, რომელმაც გადმომცა ადეიშვილის მაშინდელი პირველი მოადგილის, ლაცაბიძისგან შემდეგი წინადადება, ხომ არ ვიფიქრებდი, საქმეზე კვლავ ამეღო შუამავლობა, ოღონდ ახლა მკვლელობის შემკვეთად უნდა დამესახელებინა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ერთ თვეში ოქრუაშვილი გადააყენეს თუ გადადგა. “სააპელაციო სასამართლოში ჩემი თვალით ვნახე მოწამლული გია გვიჩიანი. გული ერეოდა და სახეზე მწვანე ფერი ედო. კაცი ფეხზე ველარ იდგა. იძულებულები გახდნენ სასწრაფო გამოეძახებინათ. ექიმი ქალბატონი გახლდათ, რომელმაც ადგილზე გასინჯა, წნევა გაუზომა გვიჩიანს და შეწუხებული სახით განაცხადა გადასაყვანიაო, შემდეგ მას „გაესაუბრნენ“ და აზრიც შეიცვალა. ადვოკატის პროტესტის მიუხედავად, უმძიმეს მდგომარეობაში ის ბადრაგებმა პროცესს დაასწრეს. ნაცხროვას და მათ ბელადს ალბათ არასდროს უფიქრიათ, რას გრძნობს უდანაშაულოდ, უმძიმესი ბრალდებით უვადო პატიმარი. რომელსაც იქაც არ ასვენებენ და წამლავენ...

სოციალურ ქსელში არაერთმა ყოფილმა პატიმარმა გამოთქვა პროტესტი, რომ სააკაშვილი სასათბურე პირობებში იხდის სასჯელს და მას ექვსი წელი კი არა უვადო პატიმრობა უნდა ჰქონდეს მისჯილი. მისი ზეობისას მსჯავრდებულებს შვილის და მშობლების ნახვა ენატრებოდათ. ამ სატანას ყოველდღიური შეხვედრები აქვს თავისი ხროვის წევრებთან და ყოფილ თუ მოქმედ ნაშებთან...

„მე არასოდეს მომცეს უფლება, ტანი დამებანა. ვითხოვ, ანალოგიურ პირობებში მოიხადოს სასჯელი ამ ცხოველმა! ამ არაკაცმა ჩემსავით იტანჯოს საპატიმროში, არ შეუშვან ექიმი, ამოუქოლონ ფანჯრები, წიხლებით და ბეისბოლის ბიტებით სცემონ ისე, როგორც მე და ჩემს მეგობრებს გვცემდნენ. გალახონ მამამისიც და ბოლოს გიულისაც ურტყან ძირს დაგდებულს „დუბინკა”, როგორც დედაჩემს და მერე მელაპარაკეთ შერიგებაზე! –წერს დაჩი ცაგურია...

სულხან მოლაშვილსაც არ აღირსეს ცოლ-შვილის ნახვა. ნაცზონდერების მიერ უმოწყალოდ დახოცილ ახალგაზრდებსაც ველარ ნახავენ მშობლები და ახლობლები, მაგრამ ეს არ აღელვებს ნაცხროვას. არც ის, რომ მათ ციხე კოლონიებში სასჯელმოხდილ მსჯავრდებულებს სული გაუუხეშდათ, მათთვის სიყვარულმა ფერი დაკარგა და სიხარული გაიცრიცა და სახეზე აღბეჭდილი ტკივილი დღემდე ეტყობათ. მძიმე თემაა არასრულწლოვნები, რომლებიც ნათელ მომავალზე ოცნებობდნენ და სწორედ მიშას და ნაცხროვის სიბნელეს შეეწირნენ. ის რესურსი რომელიც მათ გზაზე დაყენებისთვის იყო საჭირო, ნაცრეჟიმმა გადაყლაპა. მათ პასუხგაუცემელ კითხვებს სწორედ ნაციონალების შთამომავლობა უპასუხებს ოდესმე. პასუხის პასუხი კი უმწვავესი იქნება...

სტენფორდის უნივერსიტეტში ჩატარებული ზიმბარდოს ექსპერიმენტი ზედმიწევნით გამოიყენა მიშამ საქართველოში. სწორედ ზიმბარდომ დაამკვიდრა ფსიქოლოგიაში ტერმინი „ლუციფერის ეფექტი“. მისი ექსპერიმენტი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გამოდგა იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შეიძლება ძალაუფლებამ გააბოროტოს ადამიანი.

ბოროტი ნაცხროვა ცხრა წელიწადი ქვეყანას და ხალხს ძარცვავდა. კლავდნენ, აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ. მომდევნო ცხრა წელიწადი პროვოკაციებით, ქვეყნის რღვევით და რყევით იყვნენ დაკავებული და წესების გარეშე ბრძოლით უნდათ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. სწორედ ბოლო მათი კოზირი გახლდათ მიშა, რომელიც შესაფერის ადგილზეა გამწესებული შეუფერებლად მსუბუქი სასჯელით. თუმცა ყველაფერი წინაა და მათ ბოროტ ზრახვებს განხორციელება არ უწერია. დამაიმედებელი განცხადება გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმა: „პატიმარი სააკაშვილი არაფრითაა განსხვავებული, გარდა იმისა, რომ მას ბევრად უფრო მასშტაბური დანაშაულები აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე, ვიდრე სხვა პატიმრებს.“

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# 30 ოქტომბერს გავიგებთ, რამდენი ნორმალური ადამიანი ცხოვრობს საქართველოში

ვახტანგ ხარჩილავა

„ნაცმოძრაობას“ კოლექტიური შიზოფრენია დაემართა.

— კოლექტიური შიზოფრენია რა ჯანდაბა და დოზანააო? — იკითხავთ თქვენ.

კოლექტიური შიზოფრენია ის არის, როცა ცალკეული ინდივიდები თავიანთ სიგიჟეს ათასებს და ათიათასებს გადასდებენ ხოლმე და მერე ეს ათასები და ათიათასები, ყველა ერთნაირი დასაბმელი გიჟი ხდება.

სიგიჟე გადამდებია.

სიგიჟის ვირუსი კორონავირუსზე უარესია — პირდაპირ ტვინის უჯრედებს ჭამს და ადამიანს ადებილებს, შლეგად და შეურაცხადად აქცევს.

ჩვენს ძვირფას გელა ზედელაშვილს უფრო ზუსტი ტერმინი აქვს ამ მოვლენასთან დაკავშირებით და, დიდი ბოდიშის მოხდით, ნება მომეცით, ერთხელ მეც გამოვიყენო.

აყ.ევებსო, — ამბობს ასეთ შემთხვევაში ბატონი გელა, რაც, ჩემი აზრით, ნათლად და გასაგებად გამოხატავს ამ ადამიანების ტრაგიკულ მდგომარეობას.

დიახ, სიგიჟე გადამდებია — ერთ ავადმყოფს შეუძლია მილიონები დაასნებოვნოს და ჭკუიდან გადაიყვანოს.

კაცობრიობას ბევრჯერ უნახავს ეს საშინელება — ერთი კაცის მიერ ჭკუიდან გადაყვანილი მილიონები, ერთ ხმაში რომ გჰკივიან ერთსა და იმავეს.

სამწუხაროდ, არც საქართველო აღმოჩნდა ამ მხრივ გამონაკლისი.

გაირკვა, რომ ამ ნიჭიერებით, გამჭრიახობით, სიბრძნითა და სიდარბაისლით გამორჩეულ ერშიც არის გარკვეული რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც ადვილად ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მათი ქმედებები ზოგჯერ ჭკუასუსტობის ზღვარს უახლოვდება და არანაირი არგუმენტი არ ჭრის მათ მიერ აკვიატებული აზრების გასაქარწყლებლად.

მათთან კამათს და დავას აზრი არ აქვს — მათ არაფერი ესმით, მათ არაფრის გაგონება არ უნდათ, ხოლო ის, ვინც ეს ადამიანები ამ დღეში ჩააგდო და სამუდამოდ გააუბედურა, რუსთავის ციხეში ზის და ახლა იქიდან აგრძელებს ან გზაარეული ადამიანების კიდევ უფრო გაუბედურებას.

რაც ამ ადამიანებს სჭირთ, ეს ავადმყოფობაა, მძიმე ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც არ იკურნება.

ისინი სამუდამოდ ინვალიდებად დარჩებიან.

*

სიგიჟე გადამდებიაო, ვთქვი ზემოთ.

არ ვიცი, ბელადისგან გადაედო სიგიჟე თუ თვითონაც დაბადებიდან ასეთია, მაგრამ გაირკვა, რომ ბატონი ნიკანორი, რომელმაც 20 ოქტომბერს თბილისის „ჩრდილოვანი მთავრობა“ დააფუძნა, არავისზე ნაკლები გიჟი არ არის.

გიჟი რომ არ იყოს, ნორმალურმა ადამიანმა შეიძლება თვითონვე დაინიშნოს საკუთარი თავი მერად, მერე ამ თვითდანიშნულმა მთავრობა ჩამოაყალიბოს და თანამდებობები ჩამოარიგოს.

ეს მაშინ, როცა არჩევნების მეორე ტური წინაა და, ყველანაირი





გათვლებით, მელიას დამარცხება გარდაუვალია.

ამ სიგიჟეს წინ მეორე არანაკლებ დიდი სიგიჟე უძღვოდა, როცა ნიკანორმა განაცხადა: აბა, გაბედოს „ქართულმა ოცნებამ“ და ჩვენი გამარჯვება არ აღიაროსო!

ნიკანორ, ერთი გონება მოიკრიბე ცოტა ხნით და, თუ ძმა ხარ, დაფიქრდი, რას ამბობ: თუ ხალხი ხმას არ მოგცემს, თუ დამარცხდები, „ქართულმა ოცნებამ“ როგორ და რანაირად უნდა გაღიაროს გამარჯვებულად?

ნიკანორს, ეს საკითხი, როგორც ჩანს, უკვე „მოგვარებული“ აქვს თავის ჰალუცინაციურ ხილვებსა და ზმანებებში, თავზე გამარჯვებულის გვირგვინი ადგას და ინიშნავს და ინიშნავს ნაზირ-ვეზირებს.

— ჩემი პირველი ვეზირი იქნება კაცი — პატიოსნება, კაცი — ბაჯაღლო სინდისი, კაცი — პატრიოტი, კაცი — სათნოებაო, — რომ გამოაცხადა ნიკანორმა, ვიფიქრე, დიმიტრი გელოვანი ხომ არ წამოაყენა მკვდრეთით ამ შერჩვენებულმა-თქო და ხელთ მამუკა ხაზარაძე არ შემრჩა?

მეგონა, წამოხტება ახლა ეს ვაჟკაცობაზე და კაიბიჭობაზე პრეტენზიების მქონე მამუკა, ავარდება სცენაზე, სილას გააწნავს ამ თავხედ ნიკანორს და ეტყვის: შენ ვის უბედავ, ბიჭო, ამას? ნიკა მაჭუტაძეში რომ არ გეშლები, შე ბემურაზო, შენი მოადგილეობა ვის რა ჯანდაბად უნდაო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მსგავსი არაფერი მომხდარა — წამოიკლაკნა ეს ორმეტრიანი „ბანკირ-ყაჩაღი“ და ნიკანორ-ყაენს მორჩილად აეტუზა გვერდით.

რა თახსირი და სინდისგარეცხილიც იყო ეს ხაზარაძე, კი ვიცოდით, მაგრამ ყველა სიკეთისთან ერთად, გიჟიც თუ იყო, არავის ეგონა: ნიკანორის მოადგილეობას რომ დაყაბულდება, ის კაცი გიჟია, აბა, ნორმალურია?

ასე რომ, „მთავრობაში“ ორი გიჟი უკვე გვყავს, დანარჩენები კი გზადაგზა შემოემატებიან და ქალაქსაც ააშენებენ.



*

ამ წინასაარჩევნო კამპანიას რომ უყურო, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს რამდენიმე სხვადასხვა იდეოლოგიის და მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციები და პოლიტიკოსები ეტოქებიან ერთმანეთს, თუმცა ყურადღებით თუ დააკვირდები პროცესებს, მიხვდები, რომ საქმე უფრო მარტივადაა.

სინამდვილეში, რამდენიმე კი არა, ორად ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს ერთ მხარეს — ნორმალურები, მეორე მხარეს — არანორმალურები, ერთ მხარეს — გონიერები, მეორე მხარეს — შლეგები და არაადეკვატურები.

იმის მიხედვით, მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს ამა თუ იმ ძალას, იმის დადგენაც ადვილად შეიძლება, მოსახლეობის რამდენი პროცენტი აზროვნებს ადეკვატურად, რამდენი — არაადეკვატურად.

უხეში დაანგარიშებით, ოთხ ჭკვიანზე ერთი გიჟი მოდის, ეს კი ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძალიან ბევრია.

მეცხრე წელი იწურება, ქვეყანა გიჟების უწყვეტი შტურმის მოგერიების რეჟიმში ცხოვრობს და ამას იმხელა ენერგია და რესურსები მიაქვს, ფრონტის ეს ფლანგი თავისუფალი რომ იყოს, საქართველო გაცილებით უფრო წარმატებული და ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა.

უბედურებაა, როცა მთავარ ეროვნულ ამოცანად ის იქცევა, რომ ხელისუფლების სათავეში კვლავ გიჟები არ მოექცნენ.

ჩვენ შევეჩვიეთ, შევეზილეთ ამ სიტუაციას და ამიტომ მთლად ცხადად ვერ ვაცნობიერებთ, რა არანორმალურ მდგომარეობაში ვიმყოფებით და რის ფასად გვიჯდება წონასწორობის შენარჩუნება.

ეს მუდმივი ნერვული სტრესი, არასტაბილურობის შეგრძნება, მუდმივი დაძაბულობა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უმძიმეს ზემოქმედებას ახდენს ადამიანების ფსიქიკაზე, მათ ჯანმრთელობაზე, ხოლო ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც ამას მიზანმიმართულად აკეთებენ, გამოხატვისა და სიტყვის თავისუფლების იმუნიტეტით არიან დაცულნი და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ თავიანთ შავბნელ საქმიანობას არხეინად აგრძელებენ.

„ნაცმოძრაობის“ კონტროლს დაქვემდებარებული სამი ტელევიზია: TV-I, „მთავარი“ და „ფორმულა“ არის ის სამი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელთა მეშვეობითაც ხდება ადამიანების ტვინების გამორეცხვა, მათი დაზომბება, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა.

გამოაცალეთ „ნაცმოძრაობას“ ეს სამი ტელევიზია და დროის მცირე მონაკვეთში „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა რიცხვი სამჯერ შემცირდება.

„ნაცმოძრაობა“ თავიდან ბოლომდე ამ ტელევიზიებში ცოცხლობს, „ნაცმოძრაობა“ სხვა არაფერია თუ არა ერთი გაბმული სატელევიზიო შოუ, სიცრუეზე, სიყალბეზე, დეზინფორმაციაზე აგებული შოუ.

არ არის ეს შოუ, არ არის „ნაცმოძრაობა“!

ეს სამი ტელევიზია, გიჟების მოსამზადებელი ეს სამი ტერორისტულ-დივერსიული ორგანიზაცია, სანამ არსებობს, არ იქნება მშვიდობა საქართველოში.

*

30 ოქტომბერი პოლიტიკური პარტიების კი არა, ქართველი ხალხის დიდი გამოცდის დღეა.

არჩევნები ჰქვია, თორემ, სინამდვილეში, ეს დღე ქართველი ხალხის ფსიქიატრიული შემოწმების დღეა.

30 ოქტომბერს გავიგებთ, რამდენი ნორმელური ადამიანი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში.

# დიდი ღალატი „ნაცმოძრაობაში“

* სააკაშვილი ნიკანორ მელიამ და მისმა „სასტავმა“ გაყიდა?

* რა სკანდალს გადაურჩა საქართველო?

* საქმე ისე მიდის, შეიძლება ენმ-ის ლიდერშიფი „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერების რისხვისგან ირაკლი ღარიბაშვილის გადასარჩენი გახდეს

## საქართველო დიდ სკანდალს გადაურჩა

როგორც ვიცით, სააკაშვილი ელგუჯა ცომაიას ბინაში მარტო იმყოფებოდა და ხინკალს შეექცეოდა, რა დროსაც სამართალდამცავები თავზე წაადგნენ და მშვიდობიანად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე აიყვანეს.





სააკაშვილის დაკავების ტრაგიკომიკური ისტორია ასე მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ეს ისტორია სულ სხვანაირად განვითარებულიყო და ფინალიც საბედისწერო ჰქონოდა?

როგორც ვთქვით, სააკაშვილი აბსოლუტურად დაუცველი, მარტოდმარტო იჯდა ცომაიას ბინაში.

სულაც არ არის გამორიცხული, ეს ამბავი რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურს გაეგო, ან გაეგო სააკაშვილის ურიცხვ მტერთაგან რომელიმეს, შესულიყო ცომაიას ბინაში და შუბლში ტყვია დაეჭედებინა ყოფილი პრეზიდენტისთვის.

არსებობს სხვა ვარიანტიც: მარტოდმარტო დარჩენილი სააკაშვილი, ადვილად შესაძლებელი იყო, ცომაიას ბინიდან მოეტაცათ და გარკვეული დროის განმავლობაში გადაემალათ.

ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას მოუწევდა, ქვეყანა კი დიდ სკანდალში გაეხვეოდა.

ის, რაც ცომაიას ბინაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თავისუფლად შეიძლებოდა მომხდარიყო სხვაგანაც: ფოთში, ბათუმში, აბაშის ტყეში, სადაც პრეზიდენტყოფილი აღმა-დაღმა მარტოდმარტო დაყიალობდა და მოსალოდნელი საფრთხეებისგან მას ვერავინ დაიცავდა.

რა მოხდა? რატომ არავინ დახვდა საქართველოში ტრაილერით შემოპარულ სააკაშვილს და რატომ არავინ იზრუნა მის უსაფრთხოებაზე?

დავიჯეროთ, მარტო მამა-შვილ წოწორიებისა და ელგუჯა ცომაიას იმედად ჩამოვიდა სააკაშვილი საქართველოში და მისი ჩამოსვლა არავისთან არ იყო შეთანხმებული? არ არსებობდა არანაირი გეგმა, არანაირი სცენარი, თუ როგორ უნდა ემოქმედა სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ვინ უნდა ყოფილიყვნენ ის ადამიანები, რომლებთანაც კოორდინაციაში უნდა განეხორციელებინა მას ის გეგმა, რისთვისაც ქვეყანაში შემოიპარა.

როგორ უნდა ვირწმუნოთ, რომ სააკაშვილს უცებ დაარტყა თავში, წავალ საქართველოშიო, მოძებნა ვინმე ცომაია, „ზაიჩიკად“ ჩაუჯდა ტრაილერში და მონატრებული სამშობლოსკენ გამოემართა.

თუ მართლა ასე მოიქცა ეს კაცი, მაშინ, გამოდის, რომ ასპროცენტიანი გიჟი ყოფილა.

თუ გიჟია, ციხეში რას გვიზის, ფსიქიატრიულში დავაწვინოთ...

*

ცხადია, რაც ახლა ვთქვით, არარეალურია — უეჭველია, რომ სააკაშვილი მოქმედებდა წინასწარ დამუშავებული გეგმის მიხედვით და მას საქართველოში ელოდა ადამიანთა რაღაც ჯგუფი, რომელსაც თავის თავზე უნდა აეღო სააკაშვილის გადაადგილების ორგანიზება, მისი დაბინავება და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ჩამოსულ სააკაშვილს ეს ჯგუფი არ დახვდა — ის, ჟარგონის ენით რომ ვთქვათ, გადააგდეს და წოწორიებსა და ცომაიას შეატოვეს ხელში.

ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ჯგუფში?

ლოგიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ჯგუფი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისგან უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, ხოლო ხელმძღვანელობა, წესით და რიგით, ენმ-ის თავმჯდომარეს ნიკანორ მელიას უნდა გაეწია.



„ნაცმოძრაობის“ დასახმარებლად და გასამაგრებლად ჩამოდიოდა სააკაშვილი და, აქედან გამომდინარე, მასპინძლის როლიც ენმ-ს უნდა ეტვირთა და პარტიის დამფუძნებლისთვის ყველანაირი კომფორტული პირობები შეექმნა.

კომფორტული პირობები კი არა, კაცს ნორმალური სადილიც კი არ დაახვედრეს და დამშეული სააკაშვილი იძულებული გახდა, დახმარებისთვის „ფლოვოსთვის“ მიემართა.

გახსენების ღირსია ის ამბავიც, რომ სააკაშვილის დაპატიმრების წინა დღეებში ნაციონალები ფრიად საეჭვოდ ირჯებოდნენ და თავგამოდებით ამტკიცებდნენ, მიშა უკვე საქართველოშიაო.

— რა საქართველო, რისი საქართველო? საქართველოში კი არა, ტრუსკავეცში ისვენებს სააკაშვილი, — ამბობდა ხელისუფლება. ნაციონალები კი თავისას არ იშლიდნენ — საქართველოშია მიშა, საქართველოშიო.

თითქოს ვიღაცას მესიჯს უგზავნიდნენ, აქ არის, აქ არის და დროზე დაიჭირეთო.

**სააკაშვილის დაკავების შემდეგ კიდევ უფრო უცნაურად მოიქცა ენმ-ის თავმჯდომარე ნიკანორ მელია, რომელიც შეფის დაჭერის შემდეგ კარგა ხანს არ გამოჩენილა და კომენტარიც არ გაუკეთებია.**

უცნაურად და საეჭვოდ გამოიყურება ნიკანორის მიერ დაკომპლექტებული ჩრდილოვანი მთავრობა, რომელშიც თბილისის თვითგამოცხადებულმა „მერმა“ სააკაშვილის ორი მკაცრი ოპონენტი შეიყვანა — მამუკა ხაზარაძე და ზურაბ ჯაფარიძე, რომლებიც სააკაშვილის მისამართით მკვეთრი გამოთქმების გამოყენებას არ ერიდებიან და მისი მისამართით საკმაოდ მკვახე კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამენ.

რა გზავნილი გაუგზავნა მელიამ ამ გადაწყვეტილებით სააკაშვილს — აქ მე ვარ უფროსი და რასაც საჭიროდ ჩავთვლი, იმას გავაკეთებ, ხოლო შენ ვინ გლანძღავს და ვინ გაკრიტიკებს, სულ ფეხებზე მკიდიაო?

საგულისხმო იყო „მერი“ მელიას განცხადებაც — როგორც კი თბილისის მერი გავხდები, იმ დღესვე გადავდგები ენმ-ის თავმჯდომარის პოსტიდანო.

ეს განცხადება მეორენაირადაც შეიძლება „ითარგმნოს“ — თქვენ მე მერად გახდომაში შემიწყვეთ ხელი, თუ გინდათ თავი დაგანებოთ და ეს თქვენი მოფახფახებული პარტია უკან დაგიბრუნოთო.

საინტერესოა, მერობაში ხომ არ გადაცვალა ამ გველხოკერა მელიამ ეს უბედურ დღეზე გაჩენილი სააკაშვილი, მელიას სავაჭროდ და ჯიბის ხურდად რომ გაიხადა თავი?

*

ადამიანი იმედით ცოცხლობს.

ადამიან მელიას იმედი აქვს, რომ მერი გახდება და ენმ-ის მძიმე უღლისგან გათავისუფლდება.

ადამიან სააკაშვილსაც ჰგონია, რომ „ნაცმოძრაობა“ მეორე ტურში გაიმარჯვებს, მერე გამარჯვებული „ნაცმოძრაობა“ რუსთავის ციხეს მოადგება და „ტყვეობიდან“ დაიხსნის.

თუმცა საქმე ცოტა სხვანაირად მიდის და, დიდი ალბათობით, ვერც მელია გახდება მერი და ვერც „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი კიდევ დიდხანს იჯდება იმ ციხეში, სადაც ახლა ზის, ხოლო „ნაცმოძრაობაში“ ერთმანეთს დაერევიან დამარცხებით განაწყენებული ჯგუფები და „ნაცმოძრაობა“ შეიძლება რამდენიმე პარტიად დაიშალოს.



**იმასაც ამბობენ, არჩევნების შემდეგ ენმ-ს შეიძლება ახალი თავმჯდომარე ჰყოლოს — ედუარდ სააკაშვილი, ძე მიხეილისა, რომელსაც აქამდე პოლიტიკის მიმართ არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია, მაგრამ ოჯახი და ბიძია თემური თუ ასე გადაწყვეტენ, სხვა რა გზა აქვს — გაპოლიტიკოსდება** — ამდენ მონაგარს, ამდენ მილიონებს და მილიარდებს, ამდენ სახლებს და სასახლეებს პატრონობა ხომ უნდა?

ასე რომ, სამი-ოთხი დღეც მოითმინეთ და ძალიან, ძალიან საინტერესო ამბების მოწმენი გავხდებით, ძვირფასო მეგობრებო!

შეიძლება ენმ-ის ბედის ბორბალი ისე დატრიალდეს, რომ იმედგაცრუებული, მრავალგზის მოტყუებული „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერები ისე განრისხდნენ, რომ ენმ-ის ცრუქაქუნა ლიდერები ამ გაცოფებული ხალხის რისხვისგან „ქართული ოცნების“ და ირაკლი ღარიბაშვილის დასაცავები გახდნენ.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ორი დუთინა – გვარამა და ბარამა

სიტყვა „დუთინა“ ქიზიყური სიტყვაა - დებილს, მოუხეშავს, უტვინოს, ბენტერას ნიშნავს. ახლა მკითხავთ, ბენტერა რას ნიშნავსო? ჩერჩეტს, ყეყეჩს, სულელს ნიშნავს.

ისე, ძალიან საინტერესო ენა გვაქვს ქართველებს, მდიდარი, მრავალფეროვანი, მრავალგანზომილებიანი, არაფერს ვამბობ (ახლა მაგის დრო არ არი) ფონეტიკაზე, მორფოლოგიასა და სინტაქსზე. აი, ნახეთ, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ორ დუთინაზე და ეს ორი დუთინა დავახასიათოთ ძალზედ საფუძვლიანად, გასაგებად, მრავალწახნაგოვნად. ძველები იტყოდნენ ხოლმე, ყველა სოფელსა თუ ქალაქს, ერთი-ორი დუთინა აუცილებლად უნდა ჰყავდესო (ნუ მეტყვით, მაგას გიჟებზე ამბობდნენო, მე გიყვებით, რეებს იძახდნენ ქიზიყში). გავიდა დრო, შეიცვალა ვითარება, წყობილება, ადამიანთა



აზროვნება, განვითარდა ტექნოლოგიები... შესაბამისად, წესით, რიგით, დუთინათა რაოდენობაც უნდა შემცირებულიყო, მაგრამ არა, პირიქით, გამრავლდნენ (ეს ჩემისები!), გალაღდნენ და გაფუფუნდნენ... თქვენ წარმოიდგინეთ, ისე „განაგლდნენ“, ტელევიზიებიც კი გახსნეს. მეტიც, ისინი (დუთინები) თავს უფლებას აძლევენ, დილიდან გვიან ღამემდე სტუდიებში ისხდნენ და ჭკუაზე გვარიგონ, მორალზე გველაპარაკონ.

მოდით, შევეშვათ ზოგად აღწერილობას, გადავიდეთ კონკრეტულზე, ამ ქვეყანაში (როგორც გითხარით) ძალიან ბევრი დუთინაა, მაგრამ ამჯერად ორ მათგანს გაგაცნობთ კი არა და... ორ მათგანს დაგიხასიათებთ, აგიხსნით, რატომ არიან ისინი დუთინები და დუთინთა ლიდერებიც კი.

გია ბარამიძე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელმაც თავი გამოიჩინა აფრასიძეების ჟლეტვით და გლდანის ეკლესიაში შევარდნით. ორივე სპეცოპერაცია ჩაატარა დეგენერატულად - აფრასიძეების ოჯახი დაბომბა ავიაციით, ბავშვები და ქალებიც კი არ დაინდო... გლდანის ეკლესიაში კიდევ შევარდა სამხედრო „კამაზით“, მიკვირს, ამ შემთხვევაშიც ავიაცია რომ არ გამოიყენა.

2012 წლის შემდეგ დუთინა ბარამიძე რაღაცნაირ „ამპულაში“ წარმოჩინდა - იმაზე მეტი სააკაშვილი გახდა, ვიდრე თვითონ სააკაშვილია და იმდენად მეტი მიშა გახდა, ნიკანორ მელიაც კი აეჭვიანა... აღარაფერს ვამბობ გუბაზ სანიკიძეზე. ალბათ გახსოვთ, როგორ დადიოდა საპარლამენტო არჩევნების პერიოდში რეგიონ-რეგიონ, მუნიციპალიტეტ-მუნიციპალიტეტ, სოფელ-სოფელ და ღნაოდა: ჩა-მო-დი! ჩა-მო-დი! ჩა-მო-დი!

აჰა, ჩამოვიდა, შე ჩემა, მერე?!

არც არაფერი, მაგრამ დუთინა ბარამა ისევ „ფორმაშია“:

„ჩვენ ყველა მიშა უნდა ვიყოთ. მეგობრებო... ჩვენ ყველა უნდა შევეცადოთ, ვგავდეთ მიშას... რა თქმა უნდა, სურვილის მიუხედავად, ჩვენ ვერასდროს გავხდებით მიშა, ვინაიდან ის ერთადერთია, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთ“.

თქვენ გგონიათ, ვხუმრობ, ან რამეს ვაჭარბებ? არა, თავიდან „ფეიკი“ მეგონა, მაგრამ ჩანაწერი ვნახე, ზუსტად ამას ზუსტად ასე ქადაგებს. თან წარმოიდგინეთ ბარამიძის გამოთაყვანებული სახე და ჭყლოპინა ხმა.

კაცო, ვზივარ და ვფიქრობ, მენშევიკები აღარ არიან, ბოლშევიკები გადაშენდნენ, ფაშისტებს დედა უტირეს, ეს მობოლშევიკო-მოფაშისტო ელემენტი საიდან გაჩნდა, ვის დაეკარგა? საშუალო სკოლა კომუნისტების ზეობის ხანაში დავამთავრე, არც ერთ კომუნისტს არ „შემოუთავაზებია“, ამხანაგებო, ჩვენ ყველა ლენინს უნდა ვგავდეთ... მართალია, ლენინი ვერ ვიქნებით, მაგრამ ცდა არ უნდა დავაკლოთო. არც სხვა ბელადების თაობაზე შემოუბედავთ მსგავსი რამე. იყვნენ, როგორ არ იყვნენ სირი კომკავშირელები, მაგრამ ეს როა, ეს რომ ჰგავს და უსწრებს კიდევაც იმათ, უბრალოდ დაუჯერებელია.

დასაწყისშივე გითხარით, საქართველოში ძალიან ბევრი დუთინაა-მეთქი. არიან და იყვნენ, ერთი იმათიც... მე ამ შემთხვევაში ის მადარდებს, ის მაშფოთებს, რომ ბარამიძე იყო შინაგან საქმეთა მინისტრი, მთელი ქვეყნის პოლიციელთა უფროსი. მას ებარა ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურა და არ ჩერდება, ისევ უნდა, ისევ ქვეყნის „მართვაზე“ უჭირავს თვალი. ამათ რომ მართეს, ვნახეთ, ისევ უნდათ, ძაღლებივით იწევენ. არ გამოუვათ... აბა, როგორ შეიძლება, ამნაირი დუთინები ხელისუფლებაში?

კაცო, იმაზეც ვფიქრობ... ძალიანაც რომ გვინდოდეს, რანაირად უნდა დავემსგავსოთ მიშას? გორში ჩავიდეთ და იქიდან გამოვხოხდეთ თბილისისკენ? ჰალსტუხები ვჭამოთ დილა-საღამოს? იქნებ კოკაინი ვიყნოსოთ? უკრაინისა და საქართველოს საზღვრები დავარღვიოთ? სულ რევოლუციაზე ვიფიქროთ? ბოლო-ბოლო, ციხეში ჩავსხდეთ და მერე ვიტიროთ, გამოგვიშვითო? თან ვითომ ვიშიმშილოთ და თან თაფლით გავსკდეთ? გამაგებინეთ, ამ დეგენერატს რანაირად უნდა დავემსგავსოთ? ააა... დუთინა ბარამიძემ ისიც თქვა, მიშას ვერ დავემსგავსებით, ის ერთადერთია, განუმეორებელია, უბრალოდ ცდა არ უნდა დავაკლოთ, რათა დავემსგავსოთო.

ახლა კი... ნება მიბოძეთ, მეორე დუთინაც წარმოგიდგინოთ... ეს გახლავთ ნიკა გვარამია. დიახ, ეგ არი, წითელ წიწაკას რომ ჭამს ხოლმე არჩევნების პერიოდში, ღვინოში აფსამს და პერიოდულად საქართველოდანაც მიდის, მაგრამ არ მიდის, მაინც აქ გდია. ამას წინებზე სააკაშვილმა თავისიანებს ახალი იდეა შეუგდო, დიდ შერიგებაზე ვილაპარაკოთ, ეგებ „ოცნების“ ხალხი წამოეგოსო. ჯანდაბას, ვაპატიოთ, რაც არის, არის, დავპირდეთ, რომ რევანში არ იქნება, ჩვენი რა მიდისო? კი გადმოაგდო მიხომ ანკესი, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილში ღიმილი და სიცილ-ხარხარი გამოიწვია. იქით საპატიებლები აქეთ გვპირდებიან, მოდით, შევრიგდეთ, გაპატიებთო. სწორედ ამაზე ვამბობდი, ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი დუთინა ცხოვრობს-მეთქი და... როცა ნაწამები საზოგადოების მოთმინების ძაფი გაწყვეტაზე იყო, მეუფე შიომ (პატრიარქის მოსაყდრემ) ძალზედ მოხერხებულად უპასუხა დუთინებს:

„ზოგჯერ არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე - ასეთი რამ ჩვენ სახარებაში არ გვიწერია. გარდა იმისა, რომ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე, ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებშიც, უნდა მოვიკვეთოთ ჩვენ ასეთი ადამიანი (პირად მტერზეა საუბარი), მოვიკვეთოთ ჩვენი ცხოვრებიდან ან საზოგადოებიდან“.

მეუფე შიოს ეგრევე გამოეპასუხა ყოვლად უღირსი ნიკა გვარამია:

„მოსაყდრეთ წოდებული ვინმე შიო, რომელსაც ადგილი უკავია რუსეთის უშიშროების კართოტეკაში, ის თავის თავს არ ეკუთვნის, ის ლაპარაკობს სისაძაგლეებს, ის არის ქვეყნის მტერი, ამ ქვეყნის თავისუფლების მტერი, ის არის 21-ე საუკუნის რუსი ეგზარქოსი პავლე, რომელსაც, ვიზუალურადაც კი გავს. ეს ვიღაც შიო არის ქართველთა სადამსჯელო ინკვიზიტორი და პავლემ თუ დიმიტრი ყიფიანი განკვეთა, ამან საქართველოსთვის ყიფიანზე უფრო მნიშვნელოვანი სააკაშვილი განკვეთა ამბიონიდან და მასთან ერთად , ის 60 ათასი ადამიანი , მიშას მხარდამჭერ მიტინგზე რომ იყვნენ, მასთან ერთად განკვეთა ის 600 ათასი ამომრჩეველი, რომელმაც მიშას ხმა მისცა. ვერანაირი შიო და მისთანები მიშას ვერ გადაასახლებენ სტავროპოლში. ის ვერასოდეს გახდება საქართველოს პატრიარქი. უმალ მისი მორალური სიკვდილი დადგება, ვიდრე ის პაგონებიანი, ის მანტიაში შემოსილი აგენტი, სულიერად გახრწნილი, ადამიანების მოძულე და საკუთარი ერის მოძულე გახდება პატრიარქი“.

ამხელა ამონარიდს არ შემოგთავაზებდით, რომ არა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. დაუკვირდით, გვარამია იმდენად გახლავთ გამოდუთინებული, უმალ საკუთარი თავი გასცა - ნეტავ საიდან იცის, ვის რა ადგილი უკავია რუსეთის უშიშროების კარტოთეკაში და მათ შორის მეუფე შიოს? არა, საიდან იცის-მეთქი? აი, ეს არის გებელსური იდეოლოგია, ამ ჩათლახმა თქვა, ახლა თავი სხვამ უნდა იმართლოს. ვიღაცამ ყური მოჰკრა, დაიჯერა, თავის მართლება აღარ აინტერესებს.







გვარამია მეუფე შიოს ადანაშაულებს, როგორც ეგზარქოსმა პავლემ განკვეთა დიმიტრი ყიფიანი, ისე განკვეთე შენ დიმიტრი ყიფიანზე მნიშვნელოვანი სააკაშვილიო. ისევ სიცრუე, ისევ უვიცობა... ჯერ ერთი, პატრიარქის მოსაყდრეს სააკაშვილი არ განუკვეთავს (კია ღირსი) და მეორეც - რანაირად არის ჯალათი მიშა დიმიტრი ყიფიანზე მნიშვნელოვანი? ამ დუთინამ არც კი იცის, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ის 2007 წელს შერაცხა წმინდანად. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიმიტრი ყიფიანი იყო პუბლიცისტი, მთარგმნელი, ტფილისის ქალაქის თავი (1875-1879 წლებში), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე. დიახ, ცხონებული დიმიტრი ყიფიანი გახლდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი, ხოლო მიხეილ სააკაშვილი გახლავთ უვიცობის გამავრცელებელი. სამწუხაროდ, ჩვენ გვყავდა პრეზიდენტი, რომელსაც ქართულად წერა-კითხვა ძალიან უჭირს, საერთოდ არ ცნობს სასვენ ნიშნებს (აღარაფერს ვამბობ წინადადების გამართვასა და კალიგრაფიაზე, ბატიფეხურსაც ვერ ვუწოდებთ). მიკვირს და მომავალშიც გამიკვირდება, რანაირად დაამთავრა ამან სკოლა ოქროს მედალზე? მგონი ესეც გამოსაძიებელია, ამოიღეთ 51-ე სკოლის დოკუმენტები, ვნახოთ, რა ნიშნები უწერია სუფთა წერაში. მე რომ მიხოს მასწავლებელი ვყოფილიყავი, ქართულ ენაში დიდ ორიანს არ მოვაცილებდი, ოქროს მედალი არა, ჩემი ფეხები!

დავუბრუნდეთ დუთინა გვარამიას მკრეხელობებს: ეს ფარჩაკი, მეუფე შიოს ემუქრება, შენ ვერასოდეს გახდები პატრიარქიო. მე პირადად არ ვიცი, რა, როდის და რანაირად იქნება, მაგრამ ეს საკითხი ტილების გადასაწყვეტი ნამდვილად არ არის, ამას წყვეტს მაღლა უფალი, დაბლა მრევლი და სინოდი. თან ნახეთ, რა სიტყვებს ხმარობს: „ვინმე შიო“, „ქვეყნის მტერი“, „ინკვიზიტორი“, „გახრწნილი“, „ადამიანების მოძულე“. აქ ალბათ ნორმალური ადამიანი წამოიძახებს, ღმერთო, შენ უპასუხე, შენ მიუსაჯე საკადრისი ამ ნაძირალასო. ჰმ... აშკარაა, ღმერთმა უკვე უპასუხა და განაჩენიც გამოუტანა დუთინა გვარამიას.

მოკლედ, მეგობრებო, ამჯერად ორი დუთინა გაგაცანით, შემდგომ ნომრებში სხვა დუთინებსაც გაგაცნობთ... სამწუხაროდ, როგორც გითხარით, ბლომადა გვყავნან.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# უანგარო შეგონება „გახარიანელებს“








ისინი ადრე სხვანაირები იყვნენ, „ქართულ ოცნებაზე“ რამე ისეთი რომ გეთქვა, ცოტა გადაკრული, თვალებს ამოგკაწრავდნენ და პანჩურსაც ამოგარტყამდნენ. ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა, ყირაზე დადგა, პრემიერ-მინისტრი გიორგი (გივარგი) გახარია გამოვიდა და თქვა, მე უნდა გადავდგე, ნიკანორ მელიას ვერ დავიჭერ, ქვეყანას ვერ დავშლი, სპარსეთის ყურეში კრიზისს ვერ შევქმნი, მსოფლიო ფეხზე დადგება, არნახული სკანდალი დაგვატყდება, ნატოში აღარ მიგვიღებენ, ევროკავშირზე ლაპარაკი აღარ იქნებაო. სპარსეთის ყურე რა შუაში იყო, გახარიას არც უხსენებია, მაგრამ იმდენი იბოდიალა, სჯობდა, ეგეც ეხსენებინა და ჰორმუზის სრუტეც, ტელევიზორში უფრო ჭკვიანი გამოჩნდებოდა.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, პრემიერი გახარია გადადგა და ესენიც, „ქართულ ოცნებას“ კიკინების გაშლით რომ იცავდნენ, გადადგნენ, გადაკეთდნენ, რაღაცნაირები გახდნენ, უკარებელნი და ქედმაღალნი, აწი ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, ჩვენს სიტყვას ვიტყვით და „ნაცმოძრაობასაც“ დავასრულებთო. ეს ბოლო პუნქტი წამოსცდათ, მაშინ არ იცოდნენ, მათი ბელადი რას აპირებდა, რა მოღალატური გრძნობები ამოძრავებდა.

არ დაიჯერებთ... ერთმა, პატივს რომ ვცემდი (ახლაც ვცემ, ძალიან სანდომიანი ქალბატონია), მომწერა, ჩვენი პოზიციები გაიყო, არ გეწყინოს, აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძსო. კაი, ოღონდ არ „განაციონალდე“, დანარჩენი ჯანდაბას, მაგის გამო მეგობრობას ვერ წავშლი-მეთქი. წავიდა, ცოტახანს იყო, დაბრუნდა, ისევ „ოცნებას“ იცავს ხმალამოღებული. დიახ, ეს კი დაბრუნდა, მაგრამ ზოგიერთი საერთოდ გაქსუვდა, გადაჯიშდა და საიდანღაც ჩამოსულს დაემსგავსა. არა, სოფლიდან ჩამოსულს არა (ჩვენ ყველანი ჩამოსულები ვართ), რომელიღაც პლანეტიდან ჩამოსულს... თან არ დაგავიწყდეთ, იმ პლანეტას აუცილებლად „გახარიას თანავარსკვლავედი“ უნდა ერქვას, ამათ კიდევ „გახარიანელები“.

ახლა დაწვრილებით აღარ მოვყვები, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რეები იკადრა (თუმცა მოკლედ შეგახსენებთ): არჩევნებამდე კახა კალაძის კაბინეტში შესრიალდა და მოახსენა, იცოდე, თბილისის მერობას ვაპირებ, არ გაგიკვირდეს, ამ ამბავს ტელევიზორიდან ხომ არ გაიგებდიო? მოგვიანებით კალაძემ თქვა, ამ კაცს რა უნდოდა, ვერ გავიგეო. „ოცნებიდან“ ხმები გამოვიდა, ფული უნდოდაო. შეიძლება ვიფიქროთ, მის კულუარულ ვოიაჟს აზრი არ ჰქონდა, კალაძე მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ მაინც მოხდა ის, რაც ჰქონდა ჩაფიქრებული და რასაც არავინ ელოდა. ვიცოდით, გახარია ხმების წართმევაზე, ანუ გართულებასა და მეორე ტურის გაჩალიჩებაზე რომ მიდიოდა, მაგრამ მაინც არ გვეგონა, მოვლენები მისი დავთრების მიხედვით თუ განვითარდებოდა. რა მიიღო ამ ყოფილმა მერობის კანდიდატმა, ანუ კალაძის ე.წ. კონკურენტმა ამ საქმიდან? არაფერი, გარდა იმისა, რომ კალაძეს გაურთულა საქმე და ცოტაოდენ (ფინანსურადაც) დააზარალა „ქართული ოცნება“. როგორ ფიქრობთ, რაც მეორე ტურში მმართველმა პარტიამ უნდა დახარჯოს, ის რომ გახარიასთვის მიეცათ, უკეთესი იქნებოდა? 7% კალაძეს მიემატებოდა? შეიძლება ტექნიკური თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ სინდის-ნამუსი წახდებოდა, უფრო მეტად გადამხდელი ჩადგებოდა უხერხულ მდგომარეობაში. გადახდილს არაფერი შეაწუხებდა, რამე ისეთს მოიფიქრებდა, თავის ფანებს „აღაფრთოვანებდა“, ბოლო-ბოლო თვალს ჩაუკრავდა.

ახლა, მეორე ტურის წინ სხვა ორიგინალური ტრენდი წამოვიდა გახარიანელებისგან... ისაო, ჩვენ ხმას არც „ნაცებს“ მივცემთ, არც „ქოცებსო“, ჩვენ სულ სხვა მიმართულებები გაგვაჩნიაო, უფრო ნათელი, დიადი და დაბალანსებულიო. კახაბერ ქემოკლიძე ჰყავთ ამათ ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი, ტელევარსკვლავი, ჯერ ამ ადამიანზე კარგად არავის შეუსრულებია გახარიას პაროდია, ერთი-ერთზე სვამს. სხვებიც ცდილობენ, მაგრამ ეგრე „ნიჭიერულად“ მაინც არავის გამოსდის. აგერაა ნათია მეზვრიშვილი, ისიც მეცადინეობს, ქალია, მაგრამ „გახარიანული“ მონაცემები მოჭარბებულად აქვს. ამაზეა ნათქვამი, ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. გამოგიტყდებით, ამათში სხვა ლიდერებს ვერ ვიმახსოვრებ, პერიოდულად ვხედავ ხოლმე, ტელევიზორში ერთი-ორი ჯირკივით ტიპი ლაპარაკობს ხოლმე იგივენაირად და იგივეს, აზრიც აღარ აქვს მოსმენა-ყურებადობას.

ამ წერილს არ დავწერდი და „გახარიანელები“ საერთოდ არ გამახსენდებოდნენ, რომ არა ერთი გარემოება: წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის გათვალისწინებით, წესით, რიგით მეორე ტურში მათ ხმა უნდა მისცენ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს... თუმცა, როგორც პირველი ტურის შემდეგ მათმა „ფარაონმა“ განაცხადა, ისე იქცევიან, ჯიბრით - არავის საქმეში არ ვერევითო.

გაიგონეთ? გეყურებათ?!

არავის საქმეში არ ვერევითო, ამბობენ და ვერც (არც) კი გრძნობენ, რომ ასეთი ჩათლახური საქციელით წყალს პირდაპირ „ნაციონალების“ მავნებლურ საქმიანობაზე ასხამენ. აბა, რანაირად ვთქვა ამის შემდეგ, რომ ამათ საკუთარი ქვეყანა უყვართ და არ არიან მოღალატეები?! მე პირადად ძალიან მეჩოთირება, როცა სიტყვა „მოღალატეს“ ვახსენებ, მაგრამ მითხარით, რა ჰქვია, როცა ნებით ხელს უწყობ მტრის ნება-სურვილს? 23 ოქტომბერს ქუთაისში ჩასულმა ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ არ ყოფილიყო მოღალატე გახარიას ფაქტორი, რა თქმა უნდა, ჩვენი კანდიდატი დამაჯერებლად გაიმარჯვებდაო. ეს თქვა იმ წუთას ქუთაისთან მიმართებაში, თორემ საქართველოს მასშტაბით 19 მუნიციპალიტეტსა და თბილისს ეხება.

კარგი, რაც იყო, იყო... დავუშვათ, რაღაც მოხდა, გეწყინა, ამან ის თქვა, იმან ის თქვა, ეს გიწოდეს, ის გიწოდეს, გეწყინა, როგორც შეგეძლო, შენი გაისწორე, მაგრამ ახლა რასაც აკეთებ, ეს მართლა ღალატია, ასეთი მაზაკვრობა (ჩათლახობა) საქართველოს ისტორიაში ცოტას თუ ჩაუდენია. იმას არ ვამბობ, გახარიასნაირები ცოტანი გვყავდნენ-მეთქი, არა, სამწუხაროდ ისინი ბევრნი იყვნენ, უარესებიც იყვნენ, მაგრამ ასეთი ჩახლართულ-ჩახუჭუჭებული მაზაკვარი ნუღარ გენახოთ. სხვათა შორის, კარგი ენები ამბობენ, გახარიანელებში განხეთქილებააო, ზოგი პრინციპულად იძახის, პარტიის პოზიციას არ ვეთანხმები, ხმა „ქართული ოცნების“ კანდიდატს უნდა მივცეო. მადლობა პატრულს, თუ ასეთები ნამდვილად არიან, თუ იქ ნახევარს მაინც ჭკუა-გონება შემორჩა, მაშინ ყველაფერი დაკარგული არ ყოფილა, მაგრამ ნახევარი ხომ მაინც გაფუჭდა?

მინდა, გონიერ „გახარიანელებს“ მივმართო: მეგობრებო, გაიხსენეთ, სანამ თქვენ რაღაცნაირ გზას დაადგებოდით, სანამ თქვენი „უმფროსი“ მელიას დაჭერის გამო აკანკალდებოდა, სანამ იღლიაში „პაპკას“ ამოიჩრიდა და მოძუძგავდა, ჩვეულებრივი ადამიანები იყავით და ბუნებრივია, ძალიანაც გვიყვარდით. ჩვენ ახლაც გვიყვარხართ, მაგრამ თქვენ თვითონ გახდით უხიაკები, უკარებლები და „დარბაისლები“, გეგონება უკვე იქა ხართ, ზემოთ, ხელისუფლებაში. ეგრე ვერ იქნებით ვერასოდეს, თუ მკვლელებს ხელს შეუწყობთ იმ მოტივით, რომ არავის საქმეში არ ერევით, ეგ უფრო მეტი მტრობაა, ვიდრე თვით მტერთა საქმენი საგმირონი. თუ ამას გააკეთებთ, რასაც აპირებთ, პირდაპირ ღალატზე მოაწერთ ხელს. გამოდის, არ ყოფილხართ უანგაროდ „ქართული ოცნების“ მომხრეები, გამოდის, ქვენა გრძნობები და ინტერესები გამოძრავებდათ. ახლა კი... თურმე ისიც უნდა გვიხაროდეს, თუ თქვენში გამოჩნდებიან ზოგიერთნი, რომლებიც იტყვიან, ხმა ისევ ოცნებას უნდა მივცეთო, ჩვენს პარტიაში დემოკრატიაა, ყველას შეგვიძლია, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღოთო. არ გინდათ, ნუ დაიწყებთ უნიჭო ზღაპრების მოყოლას ქემოკლიძეურად მეზვრიშვილის სტილში.

გახარიანელებო, არ გეგონოთ, ვინმე გეხვეწებოდეთ, არიქა, გვიჭირს, მოგვეხმარეთ, ხმა მოგვეცითო. არა, ნამდვილად არ არის ასე საქმე, ამ შემთხვევაში თქვენი სინდისის შენარჩუნებაზე, თქვენი სულის გაპატიოსნებაზე უფრო ვფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს ერთ დროს ხომ ერთნი ვიყავით? ბოლოს და ბოლოს, ხომ იყო დრო, გათახსირებულ „ნაციონალებსა“ და სხვა მავნებლებს ერთად ვებრძოდით? ამას ავ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე გუბაზ სანიკიძის გზას დაადგებოდით. არა, მთლად გუბაზის არ მიჰყვებით კვალში, მაგრამ აღარც რა გიკლიათ, ალბათ თქვენც მალე გამოხვალთ და განაცხადებთ, სააკაშვილი მთავარი ვარსკვლავია მთელ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთშიო, გიბრალტარის სრუტესა და სპარსეთის ყურეშიო.

იმედი მაქვს (გვაქვს), გონს მოეგებით... ყველა არა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც. როდესაც დაწვებით და თავებს ბალიშებზე დადებთ, საკუთარ „მე“-ს ჰკითხეთ, ხომ არ ხართ უნებლიედ ჯალათების მხარეს?!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

**„ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი ორგანიზაციაა – „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერა დანაშაულია!**



*გვესაუბრება ჟურნალისტი მალხაზ ბასილაია*

— მალხაზ, სამეგრელოში ცხოვრობთ და, თავისთავად ცხადია, ყურადღებით აკვირდებით მიმდინარე პროცესებს. რა სიტუაციაა რეგიონში?

— სიტუაცია დაძაბულია. ძალა, რომელსაც სურს ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ცდილობს, მოაწყოს არეულობა.

კადრები ყავარჯნიან კაცზე. მამაკაცის ასეთი დამცირება, ალბათ, არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა.

„ნაცმოძრაობის" რეპრესიები პირადად მეც შემეხო და კიდევაც შევახსენე სოციალურ ქსელში სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს თენგიზ გუნავას ამის შესახებ.

— გუნავაც არ ჩანდა და ახლა საიდან გამოძვრა?

— თენგიზ გუნავა უკრაინაში იმყოფებოდა. როგორც სამეგრელოში ამბობდნენ, ის უკრაინაში მუშაობდა დაცვის სამსახურში. როგორც კი ჩამოვიდა სააკაშვილი და გაჩნდა შანსი, რომ თითქოს ყველაფერი უკან დაბრუნდება, გამოჩნდა გუნავაც. ადევნებთ, ალბათ, თვალს.

თენგიზ გუნავას, რომელიც თავის დროზე ზუგდიდის ვაგზლის რიგითი პოლიციელი იყო და სააკაშვილის დროს აღზევდა, კვლავ სურს ძველი დიდება დაიბრუნოს.

— მე ვიცი, თქვენ გაგიტაცეს და ეს თენგიზ გუნავას პოლიციის უფროსობის პერიოდში მოხდა.

— 2008 წლის 10 აგვისტოს დედაჩემის თვალწინ ძალოვნებმა ჩამსვეს მანქანაში, წამიყვანეს ჯეგეტას ტყეში, ერთი საათის განმავლობაში სასტიკად მცემეს, მერე წამიყვანეს და ყანაში დამაგდეს.



გასაგებია, რომ უკმაყოფილო არიან. მეც, შეიძლება, ბევრ რამეზე მტკივა გული, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა გველის 30 ოქტომბერს და გონიერებას უნდა მოვუხმოთ. საბოლოოდ უნდა ვუთხრათ არა „ნაცმოძრაობას".

დიდი იმედი მაქვს, I ტურში დაშვებულ შეცდომებს სამეგრელო აუცილებლად გამოასწორებს.

— არა. ის კასრები სხვაგან აღმოაჩინეს, მაგრამ, მოდით, ასე გეტყვით: მე მინდა, ქვეყანაში იყოს მშვიდობა, არავის ეშინოდეს ხვალინდელი დღის ტერორის, დამცირების, გატაცების, ცემის, მოკვლის, შეურაცხყოფის, იმის ხარჯზე, რომ ვიღაც იჯდეს თანამდებობრივ სავარძელში, ცხოვრობდეს უზრუნველად და ჩაგრავდეს მშვიდობიან მოქალაქეებს.

# 30 ოქტომბერს სამეგრელო საკადრის პასუხს გასცემს მოძალადეებს

ხალხის კეთილდღეობისთვის და მომავლისთვის ისინი არ იბრძვიან. მათ გამოსვლებში ერთი სიტყვაც არაა ნახსენები, უკეთეს პერსპექტივებზე. გადასული არიან სიტუაციის დაძაბვაზე, ქმნიან ილუზიას, რომ ბოლო წლებში სამეგრელოში მდგომარეობა არის მძიმე და საჭიროებს გამოსწორებას.

რაც შეეხება ინფორმაციას, რომ დაიჭირეს ყოფილი სამართალდამცავები, ჩაუდეს იარაღი და ა. შ. მაქვს ინფორმაცია, რომ ის ადამიანი, რომელმაც, თითქოსდა, მდგომარეობით შეწუხებულმა დატოვა თანამდებობა, სიმართლეს არ შეესაბამება.

სიტუაციას ძაბავენ ის ადამიანები, რომლებიც არიან „ნაცმოძრაობის" გადმონაშთები" და აქამდე აკავებდნენ გარკვეულ თანამდებობებს. ეს იყო და არის მოქმედი ხელისუფლების სისუსტე.

„ქართულმა ოცნებამ" სწორედ ამ ჰუმანურობის გამო დიდი პრობლემები შეუქმნა, როგორც თავის მმართველობას, ასევე ხალხს. ეს იყო შეცდომა.

„ნაცმოძრაობის" ნარჩენები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩენილიყვნენ სამსახურებში, რადგან ესენი იყვნენ დესტრუქციული ძალის წარმომადგენლები და ამტკიცებენ კიდეცაც ამას.

მე, როგორც მოქალაქე და როგორც ჟურნალისტი, წინააღმდეგი ვარ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნის, მაგრამ ვთვლი, რომ ჩასაფრებული ადამიანი არა მხოლოდ საჯარო სამსახურში, არამედ ყველგან არის საშიში, ოჯახშიც კი. არაერთხელ მითქვამს: უსაქმურობა, დღეში 20 ჭიქა ყავის მსმელები, წერა-კითხვის უცოდინრები ამ ქვეყანას ვერ გამოადგებიან. ისინი შიგნიდან ტეხავენ ციხეს.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კორცხელის ბუნკერი არ ახსოვთ და სამეგრელოს შეურაცხყოფა კაცების გაუპატიურებიდან დაწყებული ათასი უბედურებით დამთავრებული?

— პირადად მე პირველმა გადავიღე კორცხელის ბუნკერის კადრები და როცა ამას ვახსენებ „ნაცმოძრაობის" და სააკაშვილის მომხრეებს, მათ პასუხი არ აქვთ და უბრალოდ, ჩუმდებიან. არადა, ქვეყანამ ნახა

მაშინ მე ვმუშაობდი რადიო „ფორტუნას" კორესპონდენტად და ყოველ საათში ერთხელ ვაძლევდი ინფორმაციებს სამეგრელოში მაშინ არსებულ სიტუაციაზე, რომელიც მოგეხსენებათ, უკიდურესად დაძაბული იყო — 10 აგვისტოს სამეგრელოში ტანკებით შემოვიდნენ რუსები.

მოკლედ, ნაცები სამეგრელოში ეძებდნენ რუსეთის აგენტებს და ჩემი სახით უნდოდათ აგენტის დაჭერის იმიტაციის შექმნა. ტყეში რომ მცემდნენ, მეუბნებოდნენ: თქვი, რომ ხარ რუსეთის აგენტი და გაგათავისუფლებთო. სიტყვასიტყვით გაუბნებით ამას. მთხოვდნენ — მეღიარებინა, თითქოსდა, აგენტობა. ეს რომ არ ვთქვი, ამიტომ მაწამეს და ასე ნაცემ-ნაგვემი დამაგდეს ტყესთან ახლოს, ყანაში, აზრზე რომ მოვედი, ფორთხვით გამოვედი ყანიდან და არც ვიცი, როგორ მივაღწიე ერთ ოჯახში, სადაც მომასულიერეს.

ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც ეს დაწერა და გააშუქა, იყო ნანა ფაჟავა. სხვას არავის არც სოლიდარობა გამოუთქვამს, არც არავინ შეშფოთებულა. მე, გულუბრყვილოდ, მაინც მჯეროდა, რომ ეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა სააკაშვილს და როცა განმუხურის სკოლის გახსნაზე ჩამოვიდა, შევეცადე, წერილობით შემეტყობინებინა მისთვის ყველაფერი. როგორღაც მივუახლოვდი და ბატონო პრეზიდენტო, წერილი მინდა გადმოგცეთ-მეთქი. გამომხედა სააკაშვილმა და ისიც კარგად დაინახა, რომ პირზე ხელი ამაფარეს და გამარიდეს იქაურობას. არც ერთ ჟურნალისტს, რომლებიც იქ ბლომად იყვნენ, ხმა არ ამოუღია. წარმოიდგინეთ, ახლა რომ მოხდეს მსგავსი რამ.

დღეს სამეგრელოში, სამწუხაროდ, ისეთი სიტუაციაა, როგორიც იყო 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების წინ. ამას ემატება ის გულდაწყვეტილი ადამიანები, რომლებიც იბრძოდნენ 2012 წლის ოქტომბერში, სიკვდილს თვალებში უყურებდნენ. მაშინ ჩვენ გავიმარჯვეთ ბნელ ძალაზე, თუმცა პრივილეგიები დარჩათ მაინც „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერებს და ზოგიერთ წარმომადგენელს. ამ ბრძოლის მონაწილეთა დიდი ნაწილი აღმოჩნდა უგულებელყოფილი.

იმის მიუხედავად, რომ რეგიონის მოსახლეობაზე „ნაცმოძრაობისგან" ხორციელდება გაუგონარი ზეწოლა, ტერორი, დეზინფორმაციული შტურმი, სამეგრელო ამას მაინც გაუძლებს და საქართველოს არ უღალატებს ისე, როგორც არ უღალატა რაჭამ, სვანეთმა, გურიამ და სხვა რეგიონებმა.

30 ოქტომბერს სამეგრელოში წყდება საქართველოს ბედი და დიდი იმედი მაქვს, ჩემი კუთხე ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლოს ბედნიერი მომავლისთვის.

— ზემოთ კორცხელი ახსენეთ და მოგვიყევით, როგორ გადაიღეთ კორცხელის ბუნკერის კადრები. რა ხდებოდა იქ?

— ბუნკერის გადასაღებად წამიყვანა ლალი ანთიას ვაჟიშვილმა. ის ე. წ. ბუნკერი სოფელ კორცხელის მახლობლად ღრმა ტყეში იყო მიწის ქვეშ. დაახლოებით, 100 კვ. მ. ფართობის ოთხი ოთახი ხის იატაკით, ხის კედლებით, საპირფარეშოებით, საცხოვრებელი სახლივით იყო მოწყობილი. ინტერნეტ-ქსელში არსებობს ჩემი გადაღებული ვიდეო-კადრები ამ ბუნკერის შესახებ.

ყველაფერი ეს სანახავად ისეთი შემაძრწუნებელი იყო, ძნელია, სიტყვებით აღწერო. საშინელებათა ფილმებში მინახავს მსგავსი რამ — მიწის ქვეშ საკმაო სიღრმეში ჩადიოდა კიბეები. კიბეების ბოლოს იღებოდა დიდი ყრუ კარი და თვალწინ იშლებოდა ბნელი, გრძელი დერეფანი. დერეფნის მარჯვენა და მარცხენა მხარეს იყო ოთახები, დერეფნის ბოლოში — დიდი დარბაზი. დარბაზში ელაგა მოგრძო სკამები, სადაც, როგორც მითხრეს, აბამდნენ ადამიანებს და აწამებდნენ.

— იმის მიუხედავად, რომ ყველამ ვიცით ამის შესახებ, კვლავ გახსენება მაინც შემაძრწუნებელია.

— დიახ. გახსენებაც კი მზარავს და იცით, „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერები ამაზე რას ამბობენ? — ეს ბუნკერები ომის შემთხვევაში ხალხის ევაკუაციისთვის იყო განკუთვნილიო, არადა, იმ ე. წ. შენობაში, შეიძლება 20-მდე ადამიანი დატეულიყო ერთდროულად და ისიც გაჭირვებით.

— წამების ამსახველი ვიდეოებით სავსე კასრებიც იქ იპოვეს?







მე მივმართავ ყველა ადამიანს, რომლებიც 30 ოქტომბერს წავლენ არჩევნებზე — კარგად დაფიქრდნენ, ხმა მისცენ მშვიდობიან ცხოვრებას და არა არეულობას და დესტაბილიზაციას. არ ღირს არც ერთი სავარძელი და თანამდებობა იმისთვის, რომ ქვეყანაში ხელახლა დაიწყოს ის, რაც გაიარეთ.

ყველამ შევიგნოთ, რა შეიძლება მოჰყვეს თითოეული ამომრჩევლის ერთ ხმას.

ნაციონალები ამბობენ, რომ თითქოს „გამოსწორდნენ". არავინ გამოსწორებულა. მათი მთავარი მესიჯი — „ნულოვანი ტოლერანტობა! ყველანი ციხეში!" ისევ ძალაშია.

მეგობრებო, 30 ოქტომბერს მშვიდობას მოვცეთ ხმა!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველო დღითიდღე სახელმწიფოდ ყალიბდება!



**გური ოტობაია,**
არის ქრისტეს ერთი რენესანსული ფერწერული ტილო, სადაც უამრავი სამსჭვალიათაა ვნებული მისი სხეული, სახე კი სრულიად მშვიდი აქვს, უემოციო. გიდმა განმარტა: **იმდენად მიეჩვია ტკივილს, რომ უკვე სიმწარეს ვეღარ აღიქვამსო.** იგივეა კრამერის ფილმში „დალოცეთ ბავშვები და ცხოველები“. ფილმი რეზერვაციაზეა, სადაც შეძლებული მამები ადგილზე ხოცავენ ბიზონებს. მათი შვილები კი შეეცდებიან ამ ცხოველების რეზერვაციიდან განდევნას, მანქანით — ხმაურითა და შაშხანის სროლით გამოენთებიან. ცხოველები გაანგრევენ მავთულხლართს, გადაივლიან რამდენიმე გორაკს, მაგრამ მალე გაჩერდებიან, რადგანაც წართმევიათ სიცოცხლის ჟინი, მიეჩვივნენ საკუთარ სისხლში ჭყუმპალაობას. დაახლოებით მსგავსი განცდა დაეუფლა მოსახლეობას წლების განმავლობაში „ნაციონალების“ დანაშაულებრივი ბრალდებების ფრიალით, როცა ამ ფარატინა დეკლარაციებს მართლმსაჯულების აღსრულების ადეკვატური ღონისძიება არ მოსდევდა:

„ნაცმოძრაობის“ ლობისტების მიერ „ქართული ოცნებისათვის“ თავს მოხვეული კოჰაბიტაცია, მართლაც, დამანგრეველი ბაცილა აღმოჩნდა, მაგრამ საბედნიეროდ ეს ვირუსი ბოლომდე ვერ მოიერია მის სხეულს. კი, ბევრს აურია დავთრები, ბევრს ფერიც შეუცვალა და ზნეც, მაგრამ ძირითადი ბირთვი სიცოცხლისუნარი გამიდგა და აზდა ბატონი ბიძინა ივანიშვილის ნაწინასწარმეტყველები: **მე წავალ აქტიური პოლიტიკიდან, მაგრამ ნაცადი „ოცნებელები“ ადგილზე დარჩებიან და ისინი საქმეს ბოლომდე მიიყვანენო.**

დიახ, საქართველო დღითი დღე სახელმწიფოს ემსგავსება.

მან დროთა ვითარებაში თავიდან გადაიგდო კოჰაბიტაციის დამანგრეველი უღელი. თამამი გადაწყვეტილებით გამოვიდა მიშელის ანტიკონსტიტუციური კაბალიდან. ქვეყნის საზღვრებმა სახელმწიფოებრივი დატვირთვა შეიძინა. მართლმსაჯულება სახელმწიფო სამსახურში დგება. ეს დიდზე დიდი მონაპოვარია დროის უმცირეს მონაკვეთში. და მაინც ადგილობრივ არჩევნებში ბევრ ქალაქში II ტურის ჩატარება საჭირო გახდა.

დავიწყოთ ზუგდიდიდან. აქ „ნაციონალებს“ ერთგვარი წარმატება ჰქონდათ ტრადიციულად, ვინაიდან ყოფილმა რეჟიმმა დიდძალი ფულადი რესურსები დააბანდა სამეგრელოში (გავიხსენით „ვარდების რევოლუციის“ დროს სამეგრელოს აქტიური მონაწილეობა თბილისისკენ დაძრული „იკარუსების“ კოლონით. ამას მაშინ შევარდნაძის აღვირახსნილი კორუმპირებული ხანის მიმართ სიძულვილი, ენგურჰესზე 17-18 თვის ხელფასის გაუცემლობა და კიდევ ენერგიული, ახალგაზრდა ლიდერის დედით მეგრელობა განაპირობებდა. ჩვენ ეს აქილევსის სინდრომად გავაცნობიერეთ მოგვიანებით. აქილევსი დედით კოლხია, ნიმფა თეტისას და ბერძენი პელევსის ძე. აქილევსის და მისი ყაიდის — მეტისური წარმომავლობის ფენის განწყობილებაზე ბევრადაა დამოკიდებული ტროას ბედ-იღბალი. აქილევსი და მისი მირმიდონელი მეომრები აქტიურად არ მონაწილეობენ ტროას დაქცევაში, რადგანაც დედით ნათესავები არიან. მაგრამ, როცა აქილევსის აბჯრით აღჭურვილ პატროკლეს ტროას ბურჯი ჰექტორი განგმირავს, აქილევსის აქამდე ლოიალური დამოკიდებულება დედისიანების მიმართ უმალ შეიცვლება და აი, სწორედ ამ ნეიტრაულური ძალის აქტიური ჩართვით ილიონის კედლებიც საბოლოოდ დაეცემა.

ჩვენთარ როგორაა საქმე?! ზუსტად დედისიანებს დაერევა ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ ბედის ნებიერი მესვეური. დიახ, დედისიანებს და არა მამისიანებს. აი, რას ვერ აცნობიერებენ „ნაციონალების“ ბრმად მომდევარი ათასები. აი, სად მოიკოჭლებს „ქართული ოცნების“ აგიტაცია და პროპაგანდა!

ზუგდიდში ადგილობრივი არჩევნების I ტურში „ნაციონალებმა“ ერთგვარ უპირატესობას მიაღწიეს ზემოთ თქმულის წყალობით და კიდევ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ საარჩევნი სივრცეს მიზანმიმართულად ჩამოშორებული იყო სამეგრელოში ჩავლილი სამი არჩევნების ნამდვილი გმირი, **ლაშა გვასალია.**

ერთ ნიშანდობლივ მაგალითს მოვიშველიებ, როცა ყოფილი პირველი ლედი მაჟორიტარობაზე კენჭს იყრიდა, იგი კარდაკარ დაიარებიდა ზუგდიდ-ქალაქში, სოფლად: **„მუ რე ჩქიმ მარგალეფ, დარჩაგრესო ყვინგ მიკატახილ „ოცნებელეფქ?“ მუთუნშა ვაგაშკურნან, მალას ქუმურთ დო გოძირანთ უკულ თინეფიშ თოლსერს!** (რა არის ჩემო მეგრელებო, დაგჩაგრეს კისერმოსამტვრევმა „ოცნებელებმა?“ ნურაფრის გეშინიათ, მალე მოვალთ და გაჩვენებთ მერე იმათ სეირს!) ასე ეპაჭკვალებოდა მეგრულად ნიდერლანდელი პრიმადონა მოსახლეობას და ზუგდიდელ სადიაცოს მოხიბლვასაც მეტი რაღა უნდოდა?! სხვადასხვა გამოკვლევებით სანდრას რეიტინგით რეგიონში 70 პროცენტს აღწევდა. და, აი, მაშინ დაუტრიალდა ლაშა ყოფილი პირველი ლედის წიგნს **„იდეალისტის ნაამბობი“** (2005), სადაც ასეთი გამაოგნებელი ფრაზა აღმოუჩინა ავტორს: ჩვენს ეროვნულ გმირს **ზვიად გამსახურდიას** და ჯაბა იოსელიანს ერთ რეგისტრში განიხილავდა, ორივეს ბანდიტს ეძახდა. დაუბეჭდა პლაკატი ლაშამ ჩვენს მომღერულე ჰოლანდიელს და მისი მაჩვენებელიც უმალ 20 პროცენტამდე ჩამობეხრეკდა. ეს დაემართა რულოვსს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავარდებოდა ზუგდიდლებისთვის იშვიათი სტუმარი, მედიკოსი ანზორ მელია?! აი, ამისთანა პროფესიონალი განგებ თუ შემთხვევით ჩამოშორებული იყო საარჩევნო სივრცეს და შედეგმაც არ დააყოვნა. მიუხედავად ყველაფრისა ლაშამ მაინც მოახერხა ინდივიდუალურად ერთ სოფელში, კოკიში, სრული გამარჯვება მოეპოვებინა „ქართული ოცნების“ კანდიდატს. ვაუწყე ამის შესახებ ხელდასხმულ ხალხს საარჩევნი ცენტრში და ვნახოთ, როგორ წარიმართება საქმე II ტურში ზუგდიდ-ქალაქში.



„ნაციონალები“ სულაც არ არიან ყეყეჩები, როგორც ეს ზოგიერთს წარმოესახება, ისინი პროფესიონალები გახლავან ნებისმიერ ცუდ საქმეში, დაახლოებით ისეთივენი, როგორებიც იყვნენ ხაკისმუნდირიანი ესესელები, ადამიანებს რომ დახვრეტდნენ და შემდგომ შოპენის თუ მოცარტის დაკვრით იტკბობდნენ სულს.

ჩვენ პირველებმა შევნიშნეთ ქუთაისში გადასროლილი პარლამენტის შენობის იდენტურობა ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ ნახატთან, რომელიც გარეგნულად ცილინდრს კი ჩამოჰგავს, მაგრამ სინამდვილეში სპილოს გადამყლაპველი მახრჩობელაა, ამ შემთხვევაში — ქართველობის, საქართველოსი „ნაციონალური“ — გაურკვეველი ეროვნულობის ანტიადამიანური ძალის მიერ. წარმოგიდგენიათ, აი, ამ მახრჩობელა შენობაში მიბრუნებისთვის ირჯებიან პრეზიდენტყოფილი და მისი ანტისახელმწიფოებრივი საძმო დღესაც.

სიონის ეკლესიასთან „ნაციონალების“ მიერ მტკვარზე დრაკონის აღნაგობის ხიდი მართლმადიდებლობის შესამუსვრელადაა გადებული.

არქიტექტურულად თითქოსდა მიმზიდველი იუსტიციის სახლის სახურავი ლოტოსის ფოთლებითაა გადახურული, რაც ეროვნული ფასეულობების იავარქნის საწინდრადაა ჩაფიქრებული მანქურთი „ნაციონალების“ მიერ. საბედნიეროდ ეს ყველაფერი გაცნობიერებული აქვს „ქართულ ოცნებას“ და მიზანმიმართულად ღებულობს სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებსაც:

**პარლამენტი დაბრუნდა დედაქალაქში ისტორიულად განკუთვნილ ადგილას; გადაშენებულია ადრე კანონად ქცეული ბიზნესის რეკეტი; მომსპარია წინათ ცხოვრების წესად დამკვიდრებული ოპონენტის სიცოცხლის ხელყოფა.** დიახ, საქართველო დღითი დღე ემსგავსება სახელმწიფოს, არ მერიდება ამისი ხმამაღლა თქმა, **ქარაზული ლიდერების** (პოზიტიური გაგებით) **— ირაკლი ღარიბაშვილის, თეა წულუკიანის, ირაკლი კობახიძის, კახი კალაძის თუ სხვათა სახით.** რაც შეეხება ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, ჩვენ იგი ყველა დროის 10 ზეღირსეული ქართველის შემადგენლობაში შეგვიყვანია და „საქართველოს ლობის“ ნდობის მანდატიც მიგვინიჭებია სიმბოლურად. ამართლებს თუ არა ამ ნდობას, თავად განსაჯეთ.

თვეების წინათ პლაკატი გავამზადე ბატონ ბიძინას სახელზე და სანდო ხელით მივუგზავნე. გთავაზობთ ამონარიდს:

„ბატონო **ბიძინა, ჩვენს პრეისტორიულ სამშობლოში, ოდითგანვე ხარობდნენ თურმე გვიმრის გიგანტური ხეები. ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას სამეგრელოში, დღესაც არის კუნძული დიდგვიმარონის (დიდგვიმროვანი) სახელწოდებით. დროთა მსვლელობაში ეს გიგანტური სალოცავი ხე-გვიმრები გადაგვარდნენ, გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება!**

**ბატონო ბიძინა, ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში დღესაც არის გვიმრის ხეები. საქართველოში მათი რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოტანა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის არ გაუჭირდება თქვენისთანა უნივერსალურ პიროვნებას. ყველაზე მთავარი ამ პროექტში სალოცავი ხე-გვმრების საქართველოში დაბრუნებაა, რაც ფასდაუდებელი მეოხება იქნება მომავლ თაობებში ურყევი რწმენის აღძვრის, სახელმწიფოს შემდგომი შეუქცევადი აღმშენებლობის თვალსაწიერით!“**

გავიდა რაღაც ნახევარი წელიწადი და მეუბნებიან, შეკვეთილში ახალი ზელანდიიდან უკვე ჩამოტანილია ხე-გვიმრის ეგზემპლარებიო. ეს ხომ დიდებით მოსილი ჩვენი სამშობლოს განუხრელი აღზევების უტყუარი საწინდარია?!

**დიახ, წლების განმავლობაში თვითდინებაზე მიშვებული საქართველო დღითი დღე თავაწეული სახელმწიფო ხდება!**

## გვიმარა



**ბატონო ბიძინა!**

კაცობრიობის პრეისტორიიდან ცნობილია, რომ მთელი დედამიწა დაფარული იყო გიგანტური გვიმრის ხეებით!

დინოზავრებმა გაანადგურეს ეს საფარველი, რომელსაც მოჰყვა გამყინვარების ხანგრძლივი პერიოდი და სიცოცხლის ლამის მოსპობა.

ხე-გვიმრებით ჩამოყალიბებულია ქვანახშირის საბადოები ჩვენს პლანეტაზე.

ჩვენს პრეისტორიულ სამშობლოში, კოლხეთშიც ყოფილა გვიმრის გიგანტური ხეები. ზღვისპირა ჭაობნარ ადგილას სამეგრელოში, ჭურიაში, დღესაც არის კუნძული **დიდგვიმარონის – დიდგვიმროვანის** სახელწოდებით. დროთა მსვლელობაში ეს გიგანტური სალოცავი ხე-გვიმრები გადაგვარდნენ, გადაჯიშდნენ, გაგვიმრუჭდნენ და აწ ცელითაც ითიბება!

ბატონო ბიძინა, ზემოთ მოშველიებული ფოტო აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორის ალბომიდანაა. ისე, ცნობისთვის, ახალ ზელანდიაში დღესაც ხარობენ გვიმრის ხეები. საქართველოში მათი რამდენიმე ეგზემპლარის ჩამოტანა შეკვეთილის დენდროლოგიური პარკისთვის არ გაუჭირდება, ალბათ, თქვენისთანა უნივერსალურ პიროვნებას. მას სპეციალური ნაგებობაც შეიძლება დასჭირდეს გრიგალებისგან დასაცავად, მაგრამ ვგონებ, ესეც არ იქნება დიდი პრობლემა. ყველაზე მთავარი ამ პროექტში სალოცავი ხე-გვმრების საქართველოში დაბრუნებაა, რაც ფასდაუდებელი მეოხება იქნება თქვენგან ჩვენი ქვეყნის იდეური აღორძინების გზაზე, მომავლ თაობაში ურყევი რწმენის აღძვრის, სახელმწიფოს შემდგომი შეუქცევადი აღმშენებლობის თვალსაწიერით!

გწყალობდეთ უფალი ყველგან და ყოველთვის!

ულრმესი პატივისცემით,

**გური ოტობაია**
მწერალი.

10. 06. 2021 წ.

ვით გულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
სად დაჰკარგე ის სიმაღლე,
სალოცავო, გვიმარა?!
ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა,
სად გუგუნებს ის გრიგალი,
საით წაგამდინარა,
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი, გვიმარა?!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია!
შენ მნათობის შუქი თმაში ჩაგიწნია!
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია!
შენ სიცოცხლე გრიგალებში გაგიცვლია!
სალოცავი ხე იყავი,
დაჩიავდი გვიმარა?!

შენს ენაზე ქუხდა ოქროს საწმისი,
თუ რარიგად გამოედნოთ ფოლადი,
მოილიე ჟამი გაუსაძლისი,
ოდეს ზეცას მწვანედ გადაბოლავდი!

იმ საწმისზე ჩაიშანთა შენებურად,
ოქრო-ქვიშის მოგროვების წესები,
გაიღვიძე, ჯერ არ გადაშენებულა
ღრუბლის წვიმად მომწურავი მესეფი,
სალოცავი იყავ, მარა,
დაჩიავდი გვიმარა?

მუხლი რისთვის გეღუნვის,
კოლხურ ჰანგის გამგონეს,
შენ რომელიც გეყუდნის,
იმ ქარებში ჩამკონე!

გაიხსენე ხარება,
დილების გამყარება,
ვიკმარისოთ მთქნარება,
უსულგული, გვიმარა!

დაბასრულ გულს მოგიშუშებს დრო-ჟამი!
ხრიოკს ისევ გაგაშროშნებს შროშანი!
ძლეულ დროშებს აღმართავენ ოჟანი!
უსულგულო, გვიმარა!

შენ თეთრონი ბუერები გაგიცრია!
შენ მნათობის შუქი თმაში ჩაგიწნია!
შენ კოჭამდე ნაკადული ჩაგიცვია!
შენ სიცოცხლე გრიგალებში გაგიცვლია!

ვინც ცამ დაგაწინარა,
თქვი, რამ დაგამძინარა?!
გაიღვიძე, შემოგევლე,
თორემ გამოგვივა რა!
ვით გულს ესატკივარა,
ვით სულს ესამძიმარა,
წამოდექი, წამოფრინდი,
წამოხეთქე, გვიმარა!

**გური ოტობაია,**
ჟურნალი „ცისკარი“, 1981 წ.



# „სააკაშვილი ავტორიტარული პიროვნება და დიქტატორია“ – უკრაინელი პოლიტოლოგი

## „რა გააკეთა უკრაინისთვის, რომ აქ იყოს? მხოლოდ ნეგატიური ემოციები.. კარლსონივით სახურავებზე დარბოდა“ – რას ფიქრობენ უკრაინაში სააკაშვილზე

რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მონახულების შემდეგ ლიზა იასკომ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ისეთი მსოფლიო დონის პოლიტიკოსია, როგორებიც 100 წელიწადში ერთხელ იბადებიან, თუმცა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელი მოღვაწეობისა და უკრაინელი პოლიტოლოგების შეფასებების გავითვალისწინებთ, საეჭვოა, რომ ქალბატონ ლიზას სამშობლოში ბევრი დაეთანხმოს.

„დიდი ქართველი რეფორმატორის“ საქმიანობაზე და მის



მიმართ რიგითი უკრაინელების დამოკიდებულებაზე ცნობილმა უკრაინელმა პოლიტოლოგმა, კიევის პოლიტიკური კვლევებისა და კონფლიქტოლოგიის ცენტრის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა მიხეილ პოგრებინსკიმ ერთ-ერთ გამოცემასთან ისაუბრა. გთავაზობთ 2020 წელს ჩაწერილ ინტერვიუს, რომელიც ბევრ საკითხს ნათელს მოჰფენს.

— **ბატონო მიხეილ, როგორია სააკაშვილის მიმართ რიგითი უკრაინელების დამოკიდებულება?**

— საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ გვაჩვენა, რომ სააკაშვილს უკრაინაში ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს. მას ბევრი იცნობს, მაგრამ მის მიმართ კარგი დამოკიდებულება თითქმის არ არსებობს. სააკაშვილს უკრაინაში 2-3 პროცენტზე მაღალი რეიტინგი არასოდეს ჰქონია.

— **რა არის სააკაშვილის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიზეზი? ის რომ თავისიანად არ თვლიან თუ ის, რომ ზედმეტად ხისტი ხასიათი აქვს?**

— მიზეზი ისაა, რომ უკრაინისთვის კარგი არაფერი გაუკეთებია. ხალხი ხედავს, რომ სააკაშვილი სკანდალების მოყვარული ადამიანია, რომელიც ბევრს გვპირდება, მაგრამ რეალურად არაფერი გამოსდის. ხუთი წლის წინ შანსი ჰქონდა, რომ ოდესის გუბერნატორის პოსტზე ბევრი კარგი საქმე ეკეთებინა, მაგრამ პორტის ბიზნესებთან დაკავშირებული საეჭვო ისტორიების, ოლიგარქებთან და პრეზიდენტ პოროშენკოსთან კონფლიქტების გარდა თავი ვერაფრით გამოიჩინა. მედიაში ძალიან ბევრი ინფორმაცია იძებნება სააკაშვილის კონფლიქტების შესახებ, თუმცა სააკაშვილის, როგორც წარმატებული რეფორმატორის შესახებ ვერაფერს ნახავთ.

— **რაში სჭირდება პრეზიდენტ ზელენსკის სააკაშვილი? ეს უკრაინის ეკონომიკის საგანგაშო მდგომარეობაზე ხომ არ მეტყველებს, რომელსაც მხოლოდ ისეთი რეფორმატორი გადაარჩენს, როგორიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტია?**

— უკრაინის ეკონომიკა, რა თქმა უნდა, ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს სააკაშვილის რეპუტაციის მქონე პირის მოწვევას არ ამართლებს. ვფიქრობ, რომ სააკაშვილის მოწვევის მიზეზი უკრაინის ეკონომიკის ამჟამინდელ მდგომარეობას არ უკავშირდება. მე ვფიქრობ, რომ ზელენსკის სააკაშვილის მოწვევა ურჩიეს დასავლეთიდან.

შედეგად, შეიქმნა პრემიერ ონჩარუკის მთავრობა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ის სრულიად არაკომპეტენტურია. პრეზიდენტი ზელენსკი ძალიან დიდი ხანი ვერ ხვდებოდა, რომ გონჩარუკი თანამდებობას არ შეეფერებოდა, მაგრამ



ზელენსკის შესახებ გონჩარუკის სკანდალური განცხადებების შემდეგ სოროსის გრანტით „გაზრდილი“ კადრების გაშვება დაიწყო, რითიც დასავლეთის უკმაყოფილება გამოიწვია. ვფიქრობ, დასავლეთის გულის მოსაგებად ზელენსკი იძულებული გახდა სააკაშვის დანიშვნას დათანხმებოდა.

ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია, რომ ის რეფორმირება, რომლებიც შეიძლება საქართველოსთვის წარმატებული იყოს, შეუძლებელია სააკაშვილმა უკრაინაში განახორციელოს.

სააკაშვილმა საქართველოში ბევრი რეფორმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით განახორციელა. დიახ, რაღაც წარმატებით გამოუვიდა, მაგრამ საქართველო, პირველ რიგში, პატარა ქვეყანაა და მეორეც, საქართველოსთვის გარედან დახმარება ძალიან შესამჩნევი იყო, უკრაინაში კი ასეთი რამ შეუძლებელია.

— **მაშინ რისი გაკეთება შეუძლია სააკაშვილს უკრაინისთვის?**

— ზოგიერთ მცირე სფეროში, რომელიც უკრაინის ეკონომიკის ბედს არ წყვეტს, ავტორიტარული სტილის გამოყენებით და სააკაშვილი ნამდვილად ავტორიტარული პიროვნება, თუნდაც დიქტატორია, გარკვეული რეფორმების გატარება შეუძლია. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, როცა სააკაშვილი სახელმწიფოს სათავეშია, სამართლიანი სამართალდამცავი სისტემის იმედი არ უდა გქონდეთ. სააკაშვილის დროს საქართველოში ასეთი სისტემა საერთოდ არ არსებობდა. სააკაშვილი ოლიგარქებთან, კანონიერ ქურდებთან ან კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან საქმეს ასე აგვარებდა - ამ ადამიანებს იჭერდა და ქონების დათმობას აიძულებდა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ან სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების ჯიბეებში მიდიოდა. ამ თემაზე მე პირადად ვესაუბრე საქართველოში ერთ -ერთ ოლიგარქს, რომელიც, სხვათა შორის, სააკაშვილთან მეგობრობდა.

— **უკრაინელები მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაკავებაზე? ამის გასარკვევად უკრაინულმა ინტერნეტ-გამოცემამ strana.today გამოკითხვა ჩაატარა. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს სტატიიდან:**



„რაში გვჭირდება? ჩვენ რა, საკუთარი პოლიტიკოსები არ გვყავს? რა თქმა უნდა, ვწუხვარ, რომ იგი დააპატიმრეს, მაგრამ იმაზე უფრო ვდარდობ, რომ უკრაინიდან ახალგაზრდა სპეციალისტები გაედინებიან.“

„ჩვენ ჩვენი პოლიტიკოსებიც გვყოფნის. სააკაშვილმა თავის ქვეყანაში წესრიგი დაამყარა, მაგრამ უკრაინაში არაფერი გამოუვიდა. ახლა საქართველოში სასამართლო ელის. დაე, ყველაფერი კანონის მიხედვით გადაწყდეს, მაგრამ ჩვენთვის მის წასვლას ან დარჩენას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რა გააკეთა სააკაშვილმა რევოლუციის შემდეგ, შვიდი წლის მანძილზე? პიარი და არაფერი სხვა.“

„არავითარი დანაკარგი.. „რაც დაიწყო, არაფერი გამოუვიდა. რა გააკეთა მან უკრაინისთვის, რომ აქ იყოს? მხოლოდ ავაქოვთან ჩხუბი და ნეგატიური ემოციები.. კარლსონივით სახურავებზე დარბოდა.“

„მე ის არაადეკვატური მოქმედებების გამო არასოდეს მომწონდა. უკრაინისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. ვერც იქ ივარგა და ვერც აქ. ასე, რომ უკრაინას დიდი დანაკარგი არ აქვს“

„უკრაინაში მისი აქტივობა ნულის ტოლია“.

„მისი წასვლა უკრაინისთვის დიდი დანაკლისი არაა. მისი პრაქტიკული საქმიანობა არც მახსენდება. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ავაქოვს რაღაც ფურცლებს ესროდა. ვერც გუბერნატორობის დროს გამოიჩინა თავი. ცარიელი ლაპარაკი. ეს იყო და ეს“.

და ბოლოს, უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მსოფლიო დონის პოლიტიკოსის“ საქართველოში დაბრუნება არც უკრაინის პოლიტიკურ წრეებს და არც მოსახლეობას დიდ დანაკარგად არ მიაჩნია, რაც შეეხება ლიზა იასკოს შეფასებებს, ცხადია, შეყვარებული ქალი ობიექტურ შემფასებლად ვერ გამოდგება.

**სალომე სახოკია**

წყარო: https://strana.today/news/356290-zhalejut-li-ukraintsy-chto-saakashvili-uekhal-v-hruziju-opros-strany.html

# „ქართველი ძოპიროსები!“

## ღმერთმა არ ქნას საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს“, ანუ გამოვფხიზლდეთ და გამოვიცნოთ „ქართველი ძოპიროსები“



საქართველოში უმძიმესი მდგომარეობაა, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს არეული და აღრეული მსოფლიო. ჯერ არავის გაუბედავს მტკიცედ განაცხადოს, რომ ეს მართლა „მართვადი ქაოსია“ თუ იდიოტებს დარჩათ მსოფლიო სამართავად.

ვის უნდა მივმართოთ? სად ვეძებოთ სამშობლოს მოჭირნახულე ადამიანები, როცა თითოეულ ჩვენგანში ეჭვების პატარ-პატარა „ჭიები“ ფუთფუთებენ...

ვინ არის სანდო? გულწრფელად ვამბობ, „ძოპიროსის სინდრომი“ მაშინებს... ვიყურები აქეთ-იქით, იმათ, ვინც „ხალხის რჩეულის იარლიყი მიიწება“, ვინც ყოველდღიურად გვმოძღვრავს, ქვეყნის „გადამრჩენელის“ ნიღაბს ირგებს და უცერემოოდ თითს იშვერს სხვისკენ – მოღალატეაო (?!), ცხვირიც აქვს, ყურებიც, ხანდახან ლამაზადაც კი გამოიყურება, მაგრამ შინაგანად ძოპიროსია!







### ვინ არის ძოპიროსი?

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ძოპიროსი „ტროას ცხენზე“ საშიში „ფენომენია“ და ძოპიროსები ჩვენს ირგვლივ დაძრწიან და ვერ ვხედავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკურად დასახიჩრებულები არ არიან. სულიერება აქვთ მახინჯი, საშინელი შესახედავია მათი სამყარო, საშინელია მათი აზრები, მისწრაფებები.

სიმართლეს თვალი გავუსწოროთ – საქართველო არ არის ნამდვილად დამოუკიდებელი და ქვეყანა!

საქართველოს სხვები დაპატრონებიან და ვერ გაგვიგია!

საქართველო – ორი უდიდესი ქვეყნის (და სხვებისაც), საჯილდაო ქვად იქცა!

საქართველო მთლიანი და გამანადგურებელი დაპყრობის წინაშე დგას... უნდა გამოვფხიზლდეთ და გამოვიცნოთ „ქართველი ძოპიროსი“!

უძველესთა უძველესი იყო ბაბილონი. (გავიხსენოთ ბაბილონის გოდოლი) ამაყი და მამაცი ხალხი ცხოვრობდა. მეფე ქალიც ჰყავდათ... (ჩვენც ხომ გვყავდა დიდი თამარ მეფე?) ყველას, მაგრამ სპარსეთს განსაკუთრებით სურდა ბაბილონის დაპყრობა და მისი ამაყი ხალხის ფეხქვეშ გათელვა.

დარიოსი იყო სპარსელთა უპირველესი მმართველი, დაპყრობის ჟინით აღვსილი. მისმა ჯარმა ააოხრა სამოსი, შემდეგ ბაბილონს შემოარტყა ალყა.

### ბაბილონელთა ცოდვა-ბრალი

ვინ როდის რას მოიფიქრებს არავინ იცის, მაგრამ ძვ.წ V საუკუნის „ისტორიის მამამთავარი“ ჰეროდოტე რასაც გადმოგვცემს, ძნელია გულგრილად მიიღო. სპარსელთა შემოტევის შემდეგ ბაბილონელმა კაცებმა გამოარჩიეს დედები, მრავალ ცოლთა შორის ერთი, მათთვის ძვირფასი და საყვარელი, მეორე – მზარეულად გაამწესეს, დანარჩენები დაახრჩეს, რომ მათზე საჭმელი არ დახარჯულიყო.

მთლად ასე პირდაპირ არა, მაგრამ საქართველოც ალყა შემორტყმულია, ჩვენს სამშობლოში შიმშილით, უწამლობით, უმკურნალობით, უსახსრობით ისედაც ბევრმა მოიკლა თავი, ისედაც ბევრი განადგურდა. ბევრმა ქალმა, რომ არ მიეხრჩოთ,(?!) თავს უშველა, (კაცებს არ ეწყინოთ რეალობაა!) სხვა ქვეყნების მცხოვრებლებს მოსამსახურედ დაუდგა...

მათი სიამაყე ამ გზით გატეხეს!

„რაღაცით ვგავართ“ ბაბილონელებს... (?!)

### შინაგანად გატეხილი ბაბილონელების გარეგნული სიამაყე

სათაურს კარგად დავაკვირდეთ, შინაგანად გატეხილი ქართველები ინარჩუნებენ გარკვეულ, იქნებ გარეგნულ სიამაყესაც, მაგრამ დავბრუნდებით წარსულში...

საკუთარი ახლობლების გამანადგურებელ „გამბედავ“ ბაბილონელ კაცებს აღარ ეშინოდათ სპარსელთა ალყის. გალავნის ქონქურებზე შემომსხდარნი, როგორც უძველესი მკვლევარები გადმოგვცემენ,,, იმანჭებოდნენ“, დასცინოდნენ დარიოსს და მის ლაშქარს. ხოლო ერთმა მათგანმა ასეთი სიტყვაც უთხრა მათ: „სპარსელებო, რას უსხედხართ მანდ და არ მიდიხართ? თქვენ მხოლოდ მაშინ დაგვიპყრობთ, როდესაც ჯორი კვიცს მოიგებს“. ეს თქვა ვიღაც ბაბილონელმა. რადგან დარწმუნებული იყო, რომ ჯორი არასდოდეს მოიგებდა კვიცს (ჰეროდოტე „ისტორია“: გვ.244)

გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. ბაბილონელები იტანდნენ გაჭირვებას, ერთი წელიწადი და 7 თვე გავიდა, რა ეშმაკობა, რა ბრძოლის მეთოდი არ გამოიყენა დარიოსმა, მაგრამ ბაბილონელები ვერ დაამარცხა!

ხშირად ვფიქრობ ხოლმე სიტყვის ძალაზე, სიტყვის ფორმასა და შინაარსზე, იმაზე, რომ პირველად იყო სიტყვა და თვით სიტყვა-ღმერთი!

სიტყვას ბევრი რამის შეცვლა შეუძლია კარგისკენ და უფრო მეტად ცუდისკენ...

საქართველოში სიტყვებს აღარ ვუფრთხილდებით. სიტყვებს „არ ვწონით“, ავყიებს ჰგონიათ, რომ რადგან ენა აქვთ, ყველაფერი უნდა ილაპარაკონ და პირი მხოლოდ საჭმლისთვის არ გააღონ (?!)

სიტყვები „გაისროლა“ ძველმა ბაბილონელმა,,, თქვენ მხოლოდ მაშინ დაგვიპყრობთ, როდესაც ჯორი კვიცს მოიგებსო“... სპარსელებს დასცინა, მტერი არ შეაფასა!



რაღაც ამის მსგავსი იყო 2008 წელს, როცა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ (არცთუ უჭკუო კაცმა, ბათუ ქუთელიამ), სიტყვები „გაისროლა“ – „რუსეთმა რა უნდა გვიყოს, ჟანგიანი ტანკების მეტი არაფერი აქვთო“ (?!)

მერე რა მოხდა? შეაკლეს ბიჭებმა თავი, დაიხოცა მშვიდობიანი მოსახლეობა, განადგურდა სოფლები და ქალაქები, ათასობით ქართველი, შერეული ოჯახი დევნილად იქცა!

ოკუპირებულია ცხინვალის რეგიონი, მთელი აფხაზეთი...

სიტყვის „მსროლელი“ და მისი გუნდი კი ომზე გამდიდრდა. თვით „მსროლელი“ განცხრომით ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში და არც დღემდე აკლია რამე – მსოფლიოში მოგზაურობს ამერიკელი სენატორის მაკ-კეინის „აზრთა მიმართულებით“ მუშაობს. დღემდე, მერე რა, თუ სენატორი გარდაიცვალა.

ძვ.წ. აღრიცხვის პერიოდში იმ ამაყი ბაბილონელის თავი სარზე ჩამოაცვა სპარსელთა ხელმძღვანელმა დარიოსმა, ახ.წ. აღრიცხვაში, 21-ე საუკუნის დასაწყისში კი მტერს „ხელი არ უხლია“ იმჟამინდელი ქართველი ხელმძღვანელობისთვის, პირიქით, ისინი რუს გენერლებთან ქეიფობდნენ და მათი მანქანებით გადაადგილდებოდნენ(?!)

### ბაბილონში „ჯორმა კვიცი შობა“

ამაყი ბაბილონელის სიტყვა ცაში წავიდა! ალყიდან თითქმის 20 თვე გავიდა, ბაბილონი უძლებდა! მაგრამ სპარსელი დიდებულის სურსათის მტვირთველმა ჯორმა კვიცი შობა. ჯორი სპარსელი დიდებულის, ძოპიროსის იყო!

ძოპიროსს სურდა პირადი განდიდება, სახელი და რაც მთავარია, სპარსეთის გამარჯვება!

მან მოიფიქრა გეგმა, რომლის განხორციელება გათვლილი იყო – ბაბილონი უნდა დაცემულიყო!

### სპარსულ-ქართული პარალელები ორი დროების ფონზე

ძოპიროსმა – გაიხსენა ბაბილონელის დამცინავი სიტყვა „როდესაც ჯორი შობს კვიცს, მაშინ აიღებთ ჩვენს ციხე-სიმაგრეს და დაგვამარცხებთო“.

მან წარმოუდგენელის ალბათობით თქვა ეს სიტყვები.

ძოპიროსმა სიტყვის ძალას მიაგო პატივი და განეწყო გამარჯვებისთვის – დრო მოვიდაო, ციხე-სიმაგრის აღების...

ეს ძვ, წ აღრიცხვის დროებაში ხდებოდა!

ახ.წ აღრიცხვის დროებაში, მე-20–21-ე საუკუნეშიც საქართველოს ყველა ემტერებოდა, სურდათ მისი დაპყრობა.



ქართველები ამბობდნენ: „ჩვენ ვართ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო, ჩვენთან რომ კირბები, უძველესი დამწერლობა იყო სხვა ქვეყნები არც კი არსებობდნენო"...

ჰოდა „ახალდაბადებულებმა" გადაწყვიტეს ამ ხალხის დაჩოქება-დამონება, ცივილიზაციის უძველესი კერების დანგრევა-განადგურება (აბა, საყდრისის აფეთქება რა არის?) რწმენის, სიამაყის გატეხვა. „გაისროლეს" სიტყვები ქართველებმა, მტრები კი მიზანდასახულად მოდიან ჩვენთვის საშინელ გზაზე, ძოპიროსის მსგავსი გეგმის მიხედვით.

### ძოპიროსის გეგმა – „შიგნიდან ავიღოთ ბაბილონი"

21-ე საუკუნეში არის გეგმა (რა მნიშვნელობა აქვს ეს გეგმა პუტინის, ბუშის, მაკკეინის. ობამას თუ სხვათა სახელს ატარებს?), – „შიგნიდან აიღონ საქართველო!"

მესამე – მე-17 დღეზე, სხვა, 2000 კაცი უნდა დაეყენებინა სპარსელებს ნინევიის კარიბჭესთან.

მეოთხე – ამ 17 დღის შემდეგ დარიოსს უნდა მოეცადა 20 დღე დ 4000 კაცი, რომელთა სიცოცხლეც ჩალის ფასიც არ იყო მათთვის, ქალდების კარიბჭესთან უნდა დაეყენებინა. არავის არ უნდა ჰქონოდა საბრძოლო იარაღი, სატევრების გარდა.

მეხუთე – 4000 მოლაშქრის დაყენების შემდეგ უნდა გასულიყო 20 დღე და საუკეთესო მეომრებით შეეტია ციხე-სიმაგრისთვის. ძოპიროსისთვის კი უნდა დაეყენებინა სპარსელები ბელოსისა და კისიის კარიბჭესთან.

ძოპიროსი პირდებოდა გამარჯვებას, თუ ყველაფერი ისე გაკეთდებოდა, როგორც ჩაიფიქრა.

ძოპიროსი უპირველესად ბაბილონელთა ნდობის მოპოვებას ცდილობდა, კარიბჭეების გასაღების ხელში ჩაგდება სურდა!!!







ესაა ახალი „ძოპიროსის გეგმა".

სპარსელებში ოდითგანვე ვაჟკაცობა და სახელი ფასობდა. ძოპიროსსაც უნდოდა ასეთად გამოჩენილიყო. მან თქვა: „ვერაფრით ავიღებთ ბაბილონს, თუ განსაკუთრებული რამ არ მოვიფიქრეთო"... მოიფიქრა!

ბაბილონელთა ბანაკში უნდა შეეღწია და აუცილებლად მაღალი თანამდებობა დაეკავებინა, ჯარი უნდა ჩაეგდო ხელში და ამ ჯარითვე დაემარცხებინა ბაბილონელები, გაეღო ციხე-სიმაგრეთა კლიტენი!

„ძოპიროსმა მოიჭრა ცხვირი, ყურები, თმები საზარლად, მრგვალად შემოიკვეცა, გაიმათრახა თავი და მივიდა დარიოსთან", – გვიყვება მემატიანე.

სპარსთა მბრძანებელი გაოგნდა, ერთ-ერთი დიდებული ამ მდგომარეობაში რომ ნახა. კითხვაზე – „რა მოუვიდა", პასუხი არ მოეწონა – „მრცხვენია სპარსელებს რომ დასცინიან, მე თვითონ გავუკეთე ეს ჩემს თავს და თუ დამიჯერებ, ბაბილონს ავიღებთ!"

დარიოსი არ უწონებდა ამ საქციელს, მაგრამ დაუჯერა მის გეგმას, რომელიც ასეა გადმოცემული წყაროებში:

პირველი – ძოპიროსი ასეთი დამახინჯებული და სისხლიანი, შევარდებოდა ბაბილონელთა ციხე-სიმაგრეში და ეტყოდა, რომ დასისხლიანებული, სასტიკად დასჯილი იმიტომ იყო, რომ ალყის მოხსნას თხოვდა დარიოსს. ისინი მიენდობოდნენ მას და ლაშქარს ანდობდნენ.

მეორე – 10 დღის შემდეგ დარიოსს უნდა გამოეყო 1000 კაცი, რომელთა სიცოცხლე არაფრად უღირდა და დაეყენებინა სემირამისის კარიბჭესთან.

ეს ერთი მხარეა, მაგრამ თვით დარიოსს ჰქონდა ძოპიროსის მიმართ ნდობა, უმაღლესი ხარისხით!

ძვირფასო მკითხველო, მოვიკრიბოთ ძალა სიმართლისა და ვაღიაროთ,,, პატარა დონეზე" რამდენი „პაწაწინა ძოპიროსები", გვყავს საქართველოს ე.წ პოლიტიკურ ელიტაში, ერთი პარტიიდან (რომელიც ფეხზე ჰკიდიათ), მეორე პარტიაში შეღწევას რომ ახერხებენ?

რამდენი ქართველი „ძოპიროსია" მტრის ბანაკიდან საქართველოში რომ შემოდის და „ლაშქრებს" ითხოვს.

რამდენი ქართველი „ძოპიროსია" დამპყრობლის ჟინით აღვსილი საქართველოს განადგურებას, დაშლა დანაწევრებას, შიგნიდან აფეთქებას რომ გეგმავს?

გავაგრძელოთ პარალელები ისტორიული გაკვეთილებისა, რომელიც დავივიწყეთ...

### გეგმის რეალიზაცია ნდობის მოპოვებისათვის და ბაბილონელთა ჯარის ხელში ჩასაგდებად"

ძოპიროსმა შეაღწია ბაბილონელთა „ელიტაში". ვინ არ შეძრწუნდებოდა მისი მოჭრილი ცხვირით, ყურებით საშინლად დამახინჯებული სისხლიანი სხეულით.

ის ითხოვდა ლაშქარს, დარიოსზე „შურის საძიებლად" და მიიღო ეს ლაშქარი (?!) დარიოსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, მე-10 დღეს წინა ხაზზე გამოსული 1000-ივე სპარსელი ჯარისკაცი ამოხოცა.

ბაბილონელები გაოცდნენ...

ქართველებიც გაოცდნენ „ახალი ძოპიროსით"... სააკაშვილმა „უბრძოლველად" დაიბრუნაო (?!) აჭარა! ასლან აბაშიძე „დაამარცხაო"?

„ძოპიროსი მამაც მეომრად, გმირად აღიარეს...

ახ.წ აღრიცხვის პერიოდში (21-ე საუკუნეში), მახსოვს პატარა საქართველოში გია თორთლაძე ( „პადოშა"—, ყველაზე დიდი „ოპოზიციონერი" რომ იყო ოპოზიციურ გაერთიანებაში და მერე პარლამენტის „დიდი კარიბჭის" შესასვლელი გასაღები მოიპოვა(?!)

მახსოვს, 2008 წელს უმოწყალოდ დახოცილი, აგვისტოს თაკარა მზის ქვეშ დაყრილი ქართველი მეომრების ცხედრები რუსულ-ოსურმა სანიტარულმა მანქანებმა რომ აღგავეს მიწისაგან პირისა... ეს საქართველოში „აღიარებულმა" „ახალმა ძოპიროსებმა" გააკეთეს.

ბაბილონელები ძვ.წ. აღრიცხვის პერიოდში სიხარულით ხტოდნენ, როცა ძოპიროსმა სპარსელთა 4000 კაციანი ლაშქრის მეომრები ამოხოცა...

ბაბილონელებს „ერთგულება დაუმტკიცა" სპარსელმა ძოპიროსმა და მათაც უცხო ადამიანს უბოძეს მხედართმთავრობა და ციხისმცველობა!

### ბაბილონის ტრაგედია და მისი ექო საქართველოში

სპარსელთა გეგმა შესრულდა! ძოპიროსმა, ანუ უცხო ძალამ, ხელთ იგდო ბაბილონის მთელი ჯარის მთავარსარდლობა, კარიბჭეთა გასაღებები, ანუ ციხის მცველობის პატივი და ძალაუფლება!

ტრაგედია აქედან დაიწყო...

სპარსელთა საუკეთესო მეომრებმა, დარიოსისა და ძოპიროსის შეთანხმებისამებრ შეუტიეს ბაბილონელთა ძალებს, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძოდნენ მტერს, მაგრამ ძოპიროსმა გააღო კისიისა ა ბელოსის კარიბჭეები და სპარსელები შეიჭრნენ ციხე-სიმაგრეში.

ბაბილონი დაეცა!

მიხვდნენ ბაბილონელები „გულში ჩახუტებული", მათ მიერ „მამაცად" და „გმირად" აღიარებული ძოპიროსის ქმედების არსს, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო! გარეგნულად მახინჯი, მაგრამ სპარსეთის ინტერესების დამცველი „ბაბილონელთა მთავარსარდალი" ომში სპარსელთა „გამარჯვებას" ზეიმობდა.

არავინ იცის, 2008 წლის 12 აგვისტოს რატომ ზიმობდა ქართველი მთავარსარდალი ომში გამარჯვებას, როცა ხალხი დამარცხებული იყო.

ძვ.წ აღრიცხვიდან ახ.წ აღრიცხვის 21-ე საუკუნემდე მსოფლიო ათასგზის შეიცვალა, მაგრამ „ძოპიროსის სინდრომი" კვლავ ძალაშია.

ბაბილონის დაცემის ექო საქართველოსაც სწვდება... ვიცოდით ვინ იყვნენ, ან ვინ არიან საქართველოს ჯარის მთავარსარდლები, თავდაცვის მინისტრები?

ხომ არ გვყავდა 1992–1993 წლებში „ახალი დროის ძოპიროსები? ხომ არ „გავაღმერთეთ" დემოკრატიის სახელით მოსული „ახალი" ძოპიროსი?" 2008 წლის აგვისტოში?

სიმახინჯე მარტო ფიზიკური ხომ არ არის? ყველაზე ძნელად შესამჩნევი სულიერების სიბინძურე და სიმახინჯეა, მას „ავგიას თავლასავით" უნდა განწმენდა, მაგრამ როგორ? თუ სიბინძურე დიდხანს თვალხილული არ არის?

ფაქტია, ეს პრობლემა ჰქონდა ქართულ საზოგადოებას და აქვს დღეს.

ვინ არიან დღეს საქართველოს ჯარების ხელმძღვანელები, პირველი თუ „მომდევნო პირები?"

უნდა ვიფიქროთ!

მერე რა, თუ ცხვირები ადგილზე აქვთ, ყურებიც და საერთოდ კარგად გამოიყურებიან? ხომ არ შემოეპარნენ საქართველოს 21-ე საუკუნის „ძოპიროსები"?

### ღმერთმა არ ქნას საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს"

უკვე ადვილი მისახვედრია, რის თქმა მსურდა ძვირფასო მკითხველო.



ძოპიროსის გეგმამ ბაბილონი დაამარცხა! სპარსელთა წინამძღოლმა დარიოსმა დაანგრია ციხე-სიმაგრე ბაბილონისა. (ეს არ გაუკეთებია მის წინამორბედ კიროსს) 3000 თავკაცი სარზე ჩამოაგებინა. მეზობელ ხალხებს უბრძანა ქალები შემოეყვანათ ბაბილონში და ვინც გადარჩა იმათთვის მიეთხოვებინათ.

მემატიანე წერს,,,50 ათასი უცხო ქალი შემოიყვანესო". ბაბილონელებმა ომის წინ ხომ გაწყვიტეს თავიანთი ქალები? (რაღაც ფორმით ჩვენი ქალებიც შრომით წელში არიან გადაწყვეტილნი, უცხო მხარეში გადახვეწილები!)

ცოდვა-მადლიან ბაბილონურ მიწაზე სპარსელები ბატონობდნენ!

საქართველოში დღეს რთული ვითარებაა. აბობოქრებულ მსოფლიოში არავინ იცის ვინ რა თვალით გადმოხედავენ ჩვენს სამშობლოს!

ღმერთმა არ ქნას, საქართველოში „ჯორმა კვიცი მოიგოს და კიდევ ახალი „ძოპიროსების" ხელში ჩავაგდოთ საქართველოს „ციხე-გალავანთა კლიტენი"

ღმერთმა არ ქნას!!!

**მაყვალა ბერიანიძე**
საზოგადოებრივი მოძრაობა „სცადე"-ს (საქართველოს ცივილიზაციის აუცილებელი დაცვის ერთობა) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

# ხალხის ძალაუფლება

## რამ აიძულა ძველი საბერძნეთის მოქალაქეები, დემოკრატია მმართველობის ფორმად შემოეღოთ?



ხმის მიცემა, როგორც სახელმწიფო მოხელეთა დემოკრატიული არჩევის წესი, ჩვენს ერამდე VI საუკუნეში ძველ საბერძნეთში გაჩნდა. თუმცა ამას ხშირად არ მიმართავდნენ. მიიჩნეოდა, რომ ხმის მიცემა ყველაზე ნაკლებად დემოკრატიული და მდიდარი, გავლენიანი ადამიანებისთვის უფრო ხელსაყრელი იყო.

რაც უნდა პარადოქსული იყოს, ჩინოვნიკების არჩევისას საუკეთესო მეთოდად კენჭისყრა მიიჩნეოდა. არჩევანს მარცვლეულის დახმარებით ახდენდნენ. ერთ ჭურჭელში ათავსებდნენ თანაბარი რაოდენობის თეთრი და შავი ფერის მარცვლეულს, მეორეში კი ჟეტონებს, რომლებზეც კანდიდატების სახელები ეწერა. ჟეტონსა და ნაყოფს ერთდროულად იღებდნენ. თუ მარცვალი თეთრი ფერის იყო, კანდიდატი არჩეულად მიიჩნეოდა.

ძველ ათენში კენჭისყრით არჩევას საკრალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ძველბერძნული მითოლოგიის თანახმად, სწორედ კენჭისყრის შედეგად მიიღეს ზევსმა, პოსეიდონმა და აიდამ თავიანთი მმართველობის სფეროები. პირველი ცისა და ჭექა-ქუხილის მბრძანებელი გახდა, მეორე — ზღვის მთავარი მმართველი, მესამე კი — მიცვალებულთა მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელი.

ამგვარი ხმის მიცემის წესი პრაქტიკულად ნებისმიერ მოქალაქეს აძლევდა საშუალებას, ქალაქი-სახელმწიფოს მართვაში მიეღო მონაწილეობა.

ბერძნებს იმდენად სჯეროდათ კენჭისყრის ეფექტურობა, რომ კანდიდატებს თითქმის ყველა თანამდებობაზე ამ გზით ირჩევდნენ.

ეს ადამიანები პასუხისმგებლები იყვნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების მრავალ დარგზე — მაგალითად, მათ შეეძლოთ შეემოწმებინათ სასწორის სიზუსტე ადგილობრივ ბაზარში, ან გაეკონტროლებინათ ფასები ფქვილსა და მარცვლეულზე.

თუმცა, ძველმა ბერძნებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ არჩევის ამგვარ მეთოდს უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. მუდმივად მიდიოდა კამათი იმ კანდიდატების გამარჯვების შესახებ, რომლებიც არაკომპეტენტურები იყვნენ, ან უმრავლესობის ინტერესებს არ წარმოადგენდნენ. ამ პრობლემის კომპენსირება იმის გარჯზე ხდებოდა, რომ მაგისტრატი თანამდებობას მხოლოდ ერთი წლით იკავებდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვა მოქალაქეების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

კანდიდატები სრულყოფილ გამოცდას გადიოდნენ, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ კანდიდატი ღირსი იყო, ის თანამდებობა დაეკავებინა, რომელზეც პრეტენზიაც აცხადებდა. ვადის გასვლის შემდეგ თითოეული მაგისტრატი ვალდებული იყო წარმოედგინა ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ, რაც აუცილებლად გადიოდა შემოწმებას.

თანამდებობის პირის ვალდებულებების შეჩერება მოქალაქეების მიმართვის შედეგად შეიძლებოდა. რაც რეგულარულად ხდებოდა. ისიც მომხდარა, რომ სახალხო კრების განხილვის შემდეგ მაგისტრატის



წინააღმდეგ საქმე ეგზავნებოდა სასამართლოს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა.

მსაჯულთა სასამართლოს წევრებსაც კენჭისყრით ირჩევდნენ. პროცედურა ყოველწლიური იყო.

ნებისმიერ მოქალაქეს სასამართლოში საკუთარი თავი თვითონვე უნდა დაეცვა, რაც არა მხოლოდ კანონების ცოდნას, არამედ ორატორის ხელოვნების ფლობასაც მოითხოვდა. სასამართლოს სხდომები ღია იყო და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო განსახილველი საქმე, მით მეტი მსაჯული იღებდა მასში მონაწილეობას. მაგალითად, პერიკლეს საქმის განხილვაში, რომელსაც სახელმწიფო თანხების გაფლანგვა ედებოდა ბრალად, 1501 მსაჯული იღებდა მონაწილეობას, ხოლო ფილოსოფოს სოკრატეს სასიკვდილო განაჩენი 501-მა ჰელიასტმა გამოუტანა.

*

მაგრამ კენჭისყრა ყველაფერს როდი წყვეტდა. თუ არისტოტელეს ჩანაწერებს ვენდობით, კენჭისყრის საშუალებით არ ირჩევდნენ „ჯარის ხაზინადარს, სანახაობრივი ფონდის გამგებელს და წყალგაყვანილობის ზედამხედველს“.

არსებობდა ხმის მიცემის სხვა სახეობებიც. მაგალითად, ხელის აწევით. ამგვარად ხდებოდა ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე არჩევა.

ძველ ათენში არსებობდა კიდევ ხმის მიცემა თიხის თასების საშუალებით (ოსტრაკოფორია). ამგვარად ხდებოდა მოქალაქეობის ჩამორთმევა ან ძველი ათენიდან ადამიანის გაძევება, რომელიც ათენელების აზრით, სახელმწიფო წყობისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში ადამიანს ათი წლით აძევებდნენ. გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა.

ოსტრაკოფორია ფარული კენჭისყრის ყველაზე ადრეული სახეობაა. ხმის მიცემის დღეს სივრცეს, სადაც პროცედურა უნდა ჩატარებულიყო, შემოღობავდნენ ხოლმე. იქ შესვლამდე თითოეული ხმის მიმცემი ტოვებდა ხელმოწერილ ოსტრაკონს (წარწერით ქვემოთ). ამის შემდეგ ხმის მიმცემი შემოღობილში რჩებოდა ხმის მიცემის დასრულებამდე, რაც ხმის ორჯერ მიცემას გამორიცხავდა.

*

ხმის მიცემის უფლება ჰქონდა მხოლოდ მას, ვისაც მოქალაქის სტატუსი ჰქონდა. ამგვარებად მიიჩნეოდნენ 20 წლის ვაჟები, რომელთა მშობლები მოქალაქეები იყვნენ. ახალგაზრდებს ორი წელი სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა ჰქონოდათ მოხდილი. ხმის მიმცემთა სიები რეგულარულად ახლდებოდა. ის ადამიანები, რომლებიც განსაზღვრულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ, მაგალითად, მათ, ვინც თავიანთ მოხუც მშობლებზე არ ზრუნავდა, თავს არიდებდა სამხედრო ლაშქრობებში მონაწილეობას და საკუთარი ქონება გაანიავა, ხმის უფლება არ ჰქონდა.



ამგვარად, ათენის 100 ათასი მცხოვრებიდან ხმის უფლება მხოლოდ 15-20 ათასს ჰქონდა. სწორედ მათ ეძლეოდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ სახალხო კრებაში (ეკლესიაში) რომელიც პასუხისმგებელი იყო კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლების აღსრულებაზე. ეკლესია თვეში ოთხჯერ იმართებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში კი, მაგალითად, ომის პირობებში, უფრო ხშირად. ეკლესიაში მონაწილეობა ერთდროულად ძველი ათენის მოქალაქის უფლება და მოვალეობა იყო.

ჩვეულებრივ, სახალხო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 2-3 ათასი მოქალაქე. განსაკუთრებითY მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იყო ქვორუმი, რომელიც არანაკლებ ექვსი ათასი ადამიანის მონაწილეობას ითვალისწინებდა.

სახალხო კრება იმართებოდა ქვიან გორაკ პნიქსზე, რომელიც აკროპოლის დასავლეთ ფერდობთან ახლოს მდებარეობდა. აქ ტრიბუნაზე გამოდიოდნენ ძველბერძენი მოაზროვნეები და ორატორები, მათ შორის, პერიკლეც, რომელიც ათენის დემოკრატიის მამად მიიჩნევა.

*

სახალხო კრების დღის წესრიგს ბულე განსაზღვრავდა — საბჭო, რომელიც სპეციალურ შენობაში იკრიბებოდა, რომელსაც ბულევტერია ერქვა. ბულეს მიერ მომზადებული წინადადებებს მიიღებდა ან უარყოფდა ათენის ყველა მოქალაქე ხმის მიცემით. ძველი ათენის აყვავების პერიოდში ბულე მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა. იმ დროს სახალხო კრების საბჭო 500 წევრისგან შედგებოდა. თავიდან ბულეს წევრად ირჩევდნენ ხელის აწევით, მოგვიანებით — კენჭისყრით. ბულეს წევრები ხდებოდნენ ქალაქ-სახელმწიფოს ის ტერიტორიული ერთეულის, თემის (ფილის) წარმომადგენლები.

სახალხო კრების საბჭოში შედიოდა ბულეს მუდმივმოქმედი ორგანო პრიტანია, რომელიც ერთი ადმინისტრაციული ერთეულის 50 წარმომადგენლისგან შედგებოდა და კენჭისყრით აირჩეოდა. მათი არჩევა ყოველთვიურად ხდებოდა. ყოველი წინა პრიტანია მომავალს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს აბარებდა.

კენჭისყრის ძველბერძნულ სისტემას თანამედროვეები აღიარებდნენ, როგორც დემოკრატიული საზოგადოების მოქმედ ინსტრუმენტს, რომელიც მის ნებისმიერ სრულუფლებიან წევრს საშუალებას აძლევდა, სახელმწიფო ემართა.

დემოკრატიული წყობის ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ თანამდებობაზე კენჭისყრით არჩევა მიიჩნევა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22



„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კველიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99